ᲛᲨᲠᲝᲚᲔᲗᲐᲠᲔᲑᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲕᲭᲝᲖᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ.

კომუნისტი

№ 63 (5463) | ᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 18 ᲛᲐᲠᲢᲘ 1939 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 10 ᲙᲐᲞ.

პარტიული პროპაგანდის ამოცანა, კადრების მარქსისტულ-ლენინურად აღზრდის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დავეხმაროთ მუშაობის ყველა დარგის ჩვენს კადრებს დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ.

ი. სტალინი

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

ყრილობის დღიური

16 მარტის დილის სხდომა

დილის სხდომაზე, რომელიც ამხ. **შჰერბაკოვმა** გახსნა, გრძელდებოდა ყამათი ამხ. **ვ. მ. მოლოტოვის** მოხსენების გამო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

პირველი გამოდის ამხ. **ბორკოვი** (ნოვოსიბირსკი). იგი სიამაყით ლაპარაკობს სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა შესახებ ციმბირის თვალუწვდენ სივრცეებზე. ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ციმბირში, ჩელიაბინსკიდან მარიინსკამდე, სულ 16.000 სამრეწველო მუშა ითვლებოდა, ხოლო ყოფ. ტომსკის გუბერნიის მრეწველობის საერთო პროდუქცია, ტომსკის გუბერნიისა, რომელსაც ალტაის მხრისა და ნოვოსიბირსკის ოლქის ტერიტორია ეკავა 1912 წელს სულ 66 მილიონ მანეთს შეადგენდა.

1937 წელს ნოვოსიბირსკის ოლქის მრეწველობამ მოგვცა 1.267 მილიონი მანეთის პროდუქცია, სამრეწველო მუშათა რიცხვი 120.000 კაცს აღწევდა.

ამხ. ბორკოვი აღნიშნავს კუზნეცკის ქვანახშირის აუზის წარმატებებს და ყრილობას აუწყებს, რომ უკვე 1937 წელს ნახშირის ამოღება კუზბასში შეადგენდა საფრანგეთის ქვანახშირის მთელი ამოღების 40 პროცენტს, იაპონიის მთელი ამოღების 41 პროცენტსა და ბელგიის მთელი ამოღების 60 პროცენტს.

ამხ. ბორკოვს წინადადება შეაქვს გაძლიერდეს გეოლოგიურ-საძიებელი მუშაობა ციმბირის—ნარიმის, გორნო-შორსკის, გურიევსკისა და სხვ. ჯერ კიდევ გაბნეურკვეველ რაიონებში, რომლებიც მდიდარი არიან რკინის, სპილენძის, თუთიისა და სხვ. მადნის ბუდობებით.

ტრიბუნაზე ადის **მ. ი. კალინინი.** დარბაზში ტაში ჰგრიალებს. დელეგატები ოვაციას უმართავენ ლენინ-სტალინის პარტიის ერთერთ საუკეთესო შვილს, დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს. ძლიერი „ურა“ მრავალჯერ გაისმის დარბაზში. დასრულებული ტაშის გრიალი დიდხანს არ აძლევს საშუალებას ამხანაგ კალინინს დაიწყოს თავისი სიტყვა. ყრილობამ უდიდესი ყურადღებით მოისმინა ამხანაგ კალინინის სიტყვა, რომელიც მრავალჯერ შეაწყვეტინა მას დელეგატების მხურვალე ტაშმა.

— რევოლუციური მარქსისტები,— ამბობს მ. ი. კალინინი, — მუდამ იყვნენ გაბედული და თანმიმდევრული მომხრეები სახელმწიფოსი, როგორც კომუნისტური პრინციპებზე საზოგადოების გარდაქმნის ძირითადი ბერკეტისა. სახელმწიფოს ამ როლსა და მნიშვნელობას ლენინი და სტალინი იცავდნენ მარქსიზმის მრავალრიცხოვან მტრებთან დაუნდობელ ბრძოლაში, დაწყებული ანარქისტებით და გათავებული ფაშიზმის ტროცკისტ-ბუხარინელი დაქირავებული აგენტებით.

— ამხანაგმა სტალინმა, — განაგრძობს მ. ი. კალინინი, — თავისი თეორიული ნაშრომებით წინ წასწია სახელმწიფოს საკითხის მარქსისტულ-ლენინური დამუშავება. ამხანაგ სტალინის საანგარიშო მოხსენება ს.კ.ჯ.პ. (ბ) XVIII ყრილობაზე პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ ახალ განძს წარმოადგენს მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაში სახელმწიფოს შესახებ. ამ დიდი მოძღვრების საფუძველზე ჩვენ გამოგვყავს დასკვნა:

— თუ გსურთ ნამდვილად ააგოთ კომუნიზმი, — ყოველნაირად განამტკიცეთ სოციალისტური სახელმწიფო.

შემდეგ ამხ. მ. ი. კალინინი იძლევა სსრ კავშირის კონსტიტუციის, გამარჯვებული სოციალიზმის ამ დიდი ქარტიის როლისა და მნიშვნელობის დაწვრილებითს ანალიზს, და ბაზგასმით აღნიშნავს, რომ სტალინური კონსტიტუციის მიღება ნიშნავს სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომს განმტკიცებას.

— ჩვენ, — განაგრძობს მ. ი. კალინინი,—უნდა განვამტკიცოთ სოციალისტური სახელმწიფო. უწინარეს ყოვლისა ამას გვავალებს საგარეო ვითარება, კაპიტალისტური გარემოცვა. ჩვენი სოციალისტური სახელმწიფო რომ სუსტი ყოფილიყო. ჩვენ დიდი ხანია დაგვგლეჯდნენ.

ბრწყინვალე, ამაღლებული სიტყვებით ამთავრებს ამხ. მ. ი. კალინინი თავის გამოსვლას.

— ამხანაგმა სტალინმა, — განაგრძობს მ. ი. კალინინი, — თავისი თეორიული ნაშრომებით წინ წასწია სახელმწიფოს საკითხის მარქსისტულ-ლენინური დამუშავება. ამხანაგ სტალინის იდეებით შეიარაღებულნი ჩვენ მისი ხელმძღვანელობით წავალთ წინ ახალი გამარჯვებებისაკენ კომუნიზმის ზეიმისათვის.

ეს სიტყვები ტაშის გრიალს იწვევენ დარბაზში. ყველანი ფეხზე სდგებიან. გაისმის მისასალმებელი შეძახილები ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. ოვაცია დიდხანს არ ცხრება. სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სახალხო კომისარი ამხ. **კოსიგინი** თავის გამოსვლაში ჩერდება საფეიქრო მრეწველობის მუშაობის საკითხებზე. სტალინურმა ხუთწლედებმა ყველა პირობა შეჰქმნეს საფეიქრო მრეწველობის განვითარებისათვის. სოციალისტური სოფლის მეურნეობა უზრუნველჰყოფს ჩვენს მრეწველობას ჩვენი ქვეყნის მაღალხარისხოვანი ბამბით. მაგრამ, — ამბობს ამხ. კოსიგინი, — ჩვენ პოსახლეობის ერთ სულზე ჯერ კიდევ გაცილებით ნაკლებსაფეიქრო საქონელს ვამზადებთ, ვიდრე ჩვენი რიგი კაპიტალისტური ქვეყნები.

მესამე ხუთწლიანი გეგმა სახავს საფეიქრო მრეწველობის დიდ განვითარებას. პარტიამ და მთავრობამ ლიკვიდაცია უყვეს მავნებლობას საფეიქრო მრეწველობაში და შეჰქმნეს ყველა საჭირო პირობა ამ მრეწველობის სწრაფი აღმავლობისათვის.

შემდეგ ამხ. კოსიგინი ლაპარაკობს საფეიქრო ფაბრიკების მშენებლობის გეგმაზე მესამე ხუთწლედში და დაწვრილებით ჩერდება სტახანოვური მოძრაობის განვითარებაზე საფეიქრო მრეწველობაში, ამასთანავე თვალსაჩინო მაგალითებით ასურათებს საფეიქრო ფაბრიკების საუკეთესო ადამიანთა მუშაობას.

სიტყვა ეძლევა ამხ. **არუთინოვს** (სომხეთი). თავის სიტყვაში ამხ. არუთინოვმა ყრილობას უამბო საბჭოთა სომხეთის დიდ შესანიშნავ გამარჯვებებზე, რომლებიც მიღწეულია მეორე სტალინურ ხუთწლედში.

ტრიბუნაზე ადის სსრ კავშირის მიწათმოქმედების სახალხო კომისარი ამხ. **ბენედიქტოვი.** იგი დაწვრილებით შეჩერდა სოფლის მეურნეობის ამოცანებზე მესამე ხუთწლედში.

ამხ. ბენედიქტოვს მოჰყავს საინტერესო ცნობები თანამედროვე ტექნიკით სოციალისტური მიწათმოქმედების აღჭურვის შესახებ. ამ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ამერიკამ 75 ათასი კომბაინი მისცა თავის სოფლის მეურნეობას მაშინ, როდესაც ჩვენი მტა-ების საკომბაინო პარკი ბეორე ხუთწლედის განმავლობაში 112 ათასით გადიდდა, ამასთანავე ჩვენში სჭარბობენ უფრო მძლავრი კომბაინები, ვიდრე ამერიკაში. საფრანგეთში სულ 100 კომბაინი ითვლება, დიდ ბრიტანეთში—50-60, ფაშისტურ გერმანიაში კი მხოლოდ 15-20!

ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის მექანიზაცია აადვილებს შრომას, ამაღლებს კოლმეურნეთა მატერიალურ და კულტურულ დონეს და აადვილებს საკოლმეურნეო მეურნეობათა შემოსავლიანობას. კაპიტალისტურ ქვეყნებში მექანიზაცია ზრდის უმუშევრობას.

ამხ. ბენედიქტოვი აყენებს სამიწათმოქმედო ორგანოთა არსებული სტრუქტურის შეცვლის საკითხს. ეს სტრუქტურა მიღებულ იქნა 1934 წელს. ამ პერიოდის განმავლობაში სოფლის მეურნეობის წარმოების მოცულობა მკვეთრად შეიცვალა. იმ 243 ათასი კოლმეურნეობის გარდა, რომელსაც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა გაუწიოს მომსახურება, მიწათმოქმედების სისტემაში არის 6.466 მანქანა-ტრაქტორთა სადგური, 5.253 მანქანა-ტრაქტორთა სახელოსნო, 54 სარემონტო ქარხანა, 335 სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულება და საცდელი სადგური, 18 ათასი ზოოტექნიკური, ვეტერინარული პუნქტი და სხვ. უნდა ლიკვიდაცია ვუყოთ ფუნქციონალობას, გარდავქმნათ ადარატი საწარმოო ტერიტორიული პრინციპის მიხედვით და შეიძლება, ამბობს ამხ. ბენედიქტოვი, ორ სახალხო კომისარიატადაც კი გავჰყოთ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი.

თავმჯდომარე ამხ. შჰერბაკოვი სიტყვას აძლევს ამხ. **შპილევოის** (ტალინის ოლქი).

თავის სიტყვაში ამხ. შპილევოიმ ხაზგასმით აღნიშნა სტალინური ზრუნვა დონბასის გარდაქმნის შესახებ, რამაც ესოდენ დიდი როლი შეასრულა ოლქის სახალხო მეურნეობის წარმატებებში.

ამხ. შპილევოი ყრილობას მოუთხრობს სოციალისტური დონბასის მაღალი კულტურული ზრდის შესახებ. დონბასის ბოლშევიკებმა მისცეს ჩვენს ქვეყანას დიდძალი შესანიშნავი ადამიანები, შრომის ენტუზიასტები — ამხანაგები სტახანოვცი, დიუჯანოვი, იზოტოვი, კრივონოსი და მრავალი სხვა.

ამთავრებს რა თავის სიტყვას, ამხ. შპილევოი გამოთქვამს რწმენას, რომ სტალინის ოლქის ბოლშევიკები, შეიარაღებულნი პარტიის XVIII ყრილობის გადაწყვეტილებებითა და ამხანაგ სტალინის მითითებებით წარმატებით შეასრულებენ და გადაჭარბებითაც შეასრულებენ ხუთწლიან გეგმას, ათასობით და ათიათასობით ადამიანებს. ყრილობა მხურვალედ უკრავს ტაშს მის სიტყვებს.

ტრიბუნაზე ადის ამხ. **თევოსიანი** — სსრ კავშირის გემთმშენებლობის სახალხო კომისარი. ამხანაგმა თევოსიანმა, რომელსაც ყრილობის დელეგატები გულმხურვალედ შეხვდნენ, ყრილობას უამბო, რომ საბრძოლო ხომალდები, რომლებიც ამჟამად შენდება და რომელთა შენებასაც ახლა ვიწყებთ, შეეფერებიან დიადს საბჭოთა სახელწიფოს.

— ჩვენი ქვეყნის მშრომელებს,— ამბობს ამხ. თევოსიანი, — კანონიერი სიამაყით შეუძლიათ განაცხადონ, რომ საბჭოთა კავშირს ყველა პირობა მოეპოვება, რათა ფართოდ განავითაროს სამხედრო-საზღვაო და საოკეანო ფლოტის მშენებლობა.

ყრილობა მჭეხარე ოვაციით შეხვდა ამხ. თევოსიანის განცხადებას იმის შესახებ, რომ აღნაგები სტალინი და მოლოტოვი პირადად იხილავენ გემებისა და ქვემეხების ყველა პროექტს, ეხმარებიან სამხედრო-საზღვაო ფლოტის მშენებლობის უაღრესად რთული და უაღრესად მცირე საკითხების გადაწყვეტაში.

სიტყვა ეძლევა ამხ. **შაპოშნიკოვს** მუშურ-გლეხური წითელი არმიის გენერალური შტაბის უფროსს.

თავის სიტყვაში ამხ. შაპოშნიკოვი შეჩერდა მესამე ხუთწლიანი გეგმის საკითხებზე, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებისათვის.

— თანამედროვე ომი, — ამბობს ამხ. შაპოშნიკოვი, — ლითონისა და ქიმიის ომს წარმოადგენს.

სიტყვაში მოყვანილ იქნა იმის დამადასტურებელი ცნობები, რომ წითელი არმია უზრუნველყოფილ იქნება ლითონით იმ ბათქებისათვის, რომლებზედაც თავდაცვის სახალხო კომისარი ამხ. ვოროშილოვი ლაპარაკობდა.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ეკონომიური ძლიერება, რომელიც გიგანტურად იზრდება მესამე ხუთწლედში, — ამბობს ამხ. შაპოშნიკოვი, — არის საფუძველი ჩვენი უდაო მომავალი გამარჯვებებისა ყველა აგრესორებზე, რომელნიც შეეცდებიან დაარღვიონ ჩვენი წმინდა, მშვიდობიანი სოციალისტური სამშობლოს საზღვრები.

ამხ. შაპოშნიკოვის უკანასკნელ სიტყვებს მჭეხარე ტაშით ხვდებიან.

ამხ. **დორონინმა** (კურსკის ოლქი) თავის სიტყვაში ილაპარაკა ოლქის სოფლის მეურნეობის ზრდაზე. მან ყრილობას მოუთხრო, აგრეთვე, რომ საოლქო პარტიულმა კონფერენციამ მას მიანდო დამტება შეიტანოს ამხანაგ ვოლოტოვის მოხსენების თეზისებისათვის: — სსრ კავშირის ცენტრალურ ნაწილში შეიქმნას ახალი მეტალურგიული ბაზა კურსკის მაგნიტური ანომალიის მადნის გამოყენების საფუძველზე.

○

ყრილობის საღამოს სხდომაზე, 16 მარტს გრძელდებოდა ყამათი ამხ. მოლოტოვის მოხსენების გამო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმის შეაახებ.

გამოვიდნენ ამხ. **პოპოვი** (მოსკოვი), საავიაციო მრეწველობის სახალხო კომისარი **მ. მ. კაგანოვიჩი, ჩუბინი** (თურქმენეთის სსრ), **ს. მ. ბუდიონი, ბაქრაძე** (საქართველოს სსრ).

შემდეგ ყრილობას მიესალმნენ უკრაინის, ქ. ტულის და ტულის ოლქის, ქ. ივანოვოს და ივანოვოს ოლქის მუშების, კოლმეურნეების და საბჭოთა ინტელიგენციის დელეგაციები. ეს იყო მრავალფეროვანი საბჭოთა ხალხის უფართოეს მასებთან ბოლშევიკური პარტიის ერთიანობისა და ურღვევი კავშირის შესანიშნავი დემონსტრაცია.

ყრილობა განსაკუთრებული აღფრთოვანებით, „ურას“ მძლავრი შეძახილებით და მჭეხარე ოვაციებით შეხვდა მისულ დელეგაციებს.

თავმჯდომარე ამხ. **ხრუშჩოვი** სიტყვას აძლევს უკრაინელი ხალხის წარმომადგენელს პოეტ **მიკოლა ბაჟანს.** თავის ღედაენაზე წარმოთქმული ბრწყინვალე და მგზნებარე სიტყვით იგი ყრილობას, ამხანაგ სტალინს გადასცემს მხურვალე სალამს უკრაინელი ხალხის სახელით. იგი ლაპარაკობს უკრაინის მშრომელთა თავისუფალი ბიდნიერი ცხოვრების შესახებ, რუსი და უკრაინელი ხალხის ურღვევი კავშირის შესახებ. როდესაც მიკოლა ბაჟანი აცხადებს: „ცოცხლობდეს კაცობრიობის მასწავლებელი დიდი სტალინი“—დარბაზი მჭეხარე ოვაციას ჰმართავს. გაისმის შეძახილები: „დიდ უკრაინელ ხალხს „ურა!“

დარბაზში შემოდის ქ. ივანოვოს და ივანოვოს ოლქის მშრომელთა დელეგაცია. დელეგაციის წარმომადგენელი ამხ. **სახაროვა** ყრილობას უპატაკებს ივანოველ ფეიქართა დიდი წარმატებების შესახებ.

ქ. ტულისა და ტულის ოლქის მშრომელთა ორგანიზაციის სჯნელით სიტყვით გამოდის ამხ. **ბელიაკოვი.** ყრილობა დიდი ყურადღებით ისმენს ტულელ მუშათა პატაკს იმის შესახებ, თუ როგორ ანმტკიცებენ ისინი საბჭოთა კავშირის სამხედრო ძლიერებას.

ყრილობა მჭეხარე ოვაციით ეგებება საბჭოთა ახალგაზრდობისა და ლენინური კომკავშირის დელეგაციას, რომლის სახელითაც გამოვიდა ამხ **შჩეგოლევი.**

23 საათზე საღამოს სხდომა მთავრდება. (საკდესი).

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა

მომხსენებელი ამხ. ვ. მოლოტოვი

I. მეორე ხუთწლედის შედეგები

ამხანაგებო!

თქვენდა განსახილველად წარმოდგენილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა. ეს არის სახალხო მეურნეობის აღმავლობის, კულტურის აღმავლობის, ხალხის კეთილდღეობის აღმავლობის გიგანტური პროგრამა. ამ პროგრამის საძირკველს წარმოადგენს ჩვენი გამარჯვება, საბჭოთა კავშირის მშრომელთა გამარჯვება პირველი და მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში.

მესამე ხუთწლიანი გეგმა შეესაბამება იმ ახალ პერიოდს, რომელშიც ჩვენ შევედით. იგი შეესაბამება იმას, რომ სსრ კავშირი უკვე შევიდა განვითარების ახალ ხანაში, უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის დამთავრებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის ხანაში. მესამე ხუთწლიანი გეგმა ერთერთი უმნიშვნელოვანესი ეტაპი იქნება ამ დიადი ამოცანის, სრულ კომუნიზმზე გადასვლის ამოცანის გადაჭრაში. ამ საქმის ხელისმოკიდება იქნს ნიშნავს, რომ რთული და ძნელი ამოცანები დაისახო.

ჩვენ არ გვაკრთობს იმ ბრძოლის სიძნელენი, რომლის გაწევაც მოგვიხდება მესამე ხუთწლიანი გეგმისათვის. ჩვენ აღსავსენი ვართ იმის რწმენით, რომ ახალ ამოცანებსაც დავძლევთ. აქის საწინდარია მეორე ხუთწლედის შესრულებაში მიღწეული წარმატებანი.

მეორე ხუთწლედის გამარჯვება ყველას თვალწინაა. შესრულებულია მეორე ხუთწლედის **ძირითადი ისტორიული ამოცანა** — სავსებით ლიკვიდირებულია ყველა ექსპლუატატორული კლასი, სამუდამოდ მოსპობილია ამ მიზეზები, რომლებიც წარმოშობენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციას. საზოგადოების დაყოფას ექსპლუატატორებად და ექსპლუატირებულებად. ყოველივე ეს, უწინარეს ყოვლისა, — შედეგია საწარმოო საშუალებებზე კერძო საკუთრების ლიკვიდაციისა. ეს შედეგია იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა სახელმწიფო და კოოპერატიულ - საკოლმეურნეო სოციალისტურმა საკუთრებამ. ამ წესის გამონაკლისები სრულიად უმნიშვნელო სიდიდეს შეადგენენ, და ეს გამონაკლისებიც სავსებით გაქრებიან. უკვე პირველი წელი არ არის, რაც ქალაქში სავსებით ბატონობს სოციალისტური მეურნეობა და მუშათა კლასი, რომელიც თავის შემადგენლობაში შეიცავს მუშებსა და მოსამსახურეებს. სოფელი, რომელიც წარსულში ჩამორჩენილი იყო, გარდაიქმნა. საკოლმეურნეო წყობილება განმტკიცდა და კომუნიზმის მძლავრ ძალად იქცა. სოციალიზმი კომუნიზმის პირველი ფაზა—ძირითადად უკვე აშენებულია ჩვენს ქვეყანაში. სოციალისტური საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიული წინაპირობანი კანონმდებლობითი გზით განმტკიცებულნი არიან დიად სტალინურ კონსტიტუციაში.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი საზოგადოება ახლა შესდგება ორი ერთი-მეორისადმი მეგობრული კლასისაგან, მუშებისა და გლეხებისაგან, რომელნიც გაერთიანებული არიან საერთო საქმით, კომუნიზმის მშენებლობის საქმით. ეს დიადი საქმე სულ უფროდაუფრო აახლოვებს ერთმანეთთან და აერთიანებს სსრ კავშირის მუშებსა და გლეხებს მტკიცე ამხანაგობისა და მეგობრობის საფუძველზე, როგორც კომუნისტური საზოგადოების აქტიურ და შეგნებულ მშენებლებს. ზღვარი სსრ კავშირის მშრომელთა ორ კლასს შორის სულ უფროდაუფრო ჰქრება ისევე, როგორც თანდათანობით ჰქრება და ისპობა აგრეთვე ზღვარი ამ კლასებსა და ინტელიგენციას შორის, რომელიც გონებრივ შრომას ეწევა საბჭოთა საზოგადოების სასარგებლოდ.

აბა შეხედეთ, თუ რა მოხდა ჩვენს ქვეყანაში.

აი, რა გვქონდა ჩვენ 1928 წელს.

სსრ კავშირის მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა 1928 წელს

	% სულად მოსახლეობის ჯამთან
1. მუშები და მოსამსახურეები	17
2. კოლმეურნე გლეხობა (კოოპერირებულ შინამრეწველებთან ერთად).	3
3. ერთპიროვნული გლეხები და არაკოოპერირებული შინამრეწველები	73
4. კაპიტალისტური ელემენტები (ნეპმანები, კულაკები)	5
5. დანარჩენი მოსახლეობა (მოსწავლენი, არმია, პენსიონერები და სხვ.)	2
სულ:	100

ასე გამოიყურებოდა სსრ კავშირი მაშინ, როდესაც მუშაობამ იწყო გაშლა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური საზოგადოების საძირკვლის ჩაყრისაკენ.

რისი მეოხებით მოხდა ჩვენი საზოგადოების ასეთი გარდაქმნა და რისი მეოხებით მივაღწიეთ ექსპლუატატორული კლასებისა და ჯგუფების სრულ ლიკვიდაციას სსრ კავშირში?

ჯერ-ერთი, იმის მეოხებით, რომ ჩვენ წარმატებით შევასრულეთ მეორე ხუთწლედის სამეურნეო ამოცანა—სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრების ამოცანა და ამიტომ შევქმენით მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საკოლმეურნეო წყობილებისათვის საბოლოდ.

მეორეც, იმის მეოხებით, რომ ჩვენ გავაკეთეთ ყოველივე, რაც კი შესაძლებელი იყო, ხალხის კეთილდღეობისა და მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებისთვისაც.

სახალხო მეურნეობის **ტექნიკური რეკონსტრუქციის** წარმატებით **დამთავრებას** მოწმობენ ასეთი ფაქტები.

მეორე ხუთწლედის განმავლობაში ძირეულად განახლდა მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის საწარმოო-ტექნიკური აპარატი. ახალი საწარმოებიდან, რომლებიც პირველი და მეორე ხუთწლედის განმავლობაში აშენდნენ ან მთლიანად იქნენ რეკონსტრუირებული, 1937 წელს მივიღეთ მრეწველობის მთელი პროდუქციის 80 პროცენტზე მეტი. სოფლის მეურნეობაში მომქმედი ყველა ტრაქტორისა და კომბაინის დაახლოებით 90 პროცენტი საბჭოთა მრეწველობის მიერ მეორე ხუთწლედშია დამზადებული. მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქცია გადიდდა არა ერთიორად და ცოტა მეტად, როგორც მეორე ხუთწლედით იყო დასახული, არამედ თითქმის ერთი-ნახევარად. 1938 წლის 1 იანვრისათვის არსებული დაზგების პარკიდან 50 პროცენტზე მეტი მეორე ხუთწლედის განმავლობაშია დამზადებული. ელექტროენერგიით მუშის აღჭურვილობა მთლიანად აღებულ მრეწველობაში 2.100 კილოვატ-საათიდან 4.370 კილოვატ-საათამდე გაიზარდა. ძირითადად გადაჭრილია მრეწველობის ისეთი შრომატევადი და მძიმე პროცესების მექანიზაციის ამოცანა, როგორიცაა ქვანახშირის მონგრევა, ნავთისა და ტორფის მოპოვება, თევზის ჭერის მექანიზაცია და სხვ.

მეორე ხუთწლედის გეგმით **მრეწველობის** პროდუქცია უნდა გადიდებულიყო 43 მილიარდი მანეთიდან 93 მილიარდ მანეთამდე,—ნამდვილად კი 1937 წელს მრეწველობის პროდუქციამ 96 მილიარდ მანეთს მიაღწია.

მეორე ხუთწლედის გეგმით ჩვენი მრეწველობის პროდუქცია უნდა გადიდებულიყო 114 პროცენტით, ნამდვილად კი იგი 121 პროცენტით გაიზარდა. უკვე 1937 წლის 1 აპრილისათვის, ესე-იგი, უკვე 4 წლისა და 3 თვის განმავლობაში მრეწველობამ მიაღწია მეორე ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის დადგენილ დონეს. ამრიგად, მრეწველობამ მეორე ხუთწლედი ვადამდე შეასრულა.

მეორე ხუთწლედის გეგმით ხაშუალო-წლიური ტემპი განსაზღვრული იყო 16,5 პროცენტით, ფაქტიურად კი ჩვენ მივაღწიეთ ყოველწლიურ მატებას 17,1 პროცენტის რაოდენობით. მაშასადამე, ჩვენ გადავაჭარბეთ სამრეწველო პროდუქციის მატების იმ ტემპებს, რომლებიც გეგმით იყო მოცემული.

რა თქმა უნდა, მრეწველობის ყველა დარგი როდი მუშაობდა თანაბარი წარმატებით.

ყველაზე მეტი წარმატებანი ჩვენ გვქონდა მძიმე მრეწველობაში—საწარმოო საშუალებათა წარმოებაში. აქ პროდუქცია თითქმის ორნახევარჯერ გაიზარდა (240 პროცენტი) და გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა: მეორე ხუთწლედი ამ წარმოების ხაზით 122 პროცენტით არის შესრულებული. თუმცა, მძიმე ინდუსტრიის ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან დარგში, როგორიცაა თუჯი, ქვანახშირი, ნავთი, გეგმა საგრძნობლად შეუსრულებელი აღმოჩნდა.

მოხმარების საგნების წარმოება ერთი-ორად გადიდდა (200 პროცენტი), თუმცა გეგმა მთლიანად არ იყო შესრულებული. მოხმარების საგნების წარმოებაში, მსუბუქი მრეწველობის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო, ჩვენ გეგმის მხოლოდ 85 პროცენტს მივაღწიეთ, მაგრამ სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის კვების მრეწველობამ 113 პროცენტს მიაღწია, ესე-იგი თავისი ხუთწლიანი გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა.

ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორე ხუთწლედის განმავლობაშიც მძიმე მრეწველობის ზრდა თვალსაჩინოდ უფრო სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელი მრეწველობის ზრდა. ამის მთავარი მიზეზი გარემოებაა, რომ მეორე ხუთწლედის მიერ მეორე ხუთწლედშია დამზადებული. მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქცია გადიდდა არა ერთიორად და ცოტა მეტად, როგორც მეორე ხუთწლედით იყო დასახული, არამედ თითქმის ერთი-ნახევარად. 1938 წლის 1 იანვრისათვის არსებული დაზგების პარკიდან 50 პროცენტზე მეტი მეორე ხუთწლედის განმავლობაშია დამზადებული. ელექტროენერგიით მუშის აღჭურვილობა მთლიანად აღებულ მრეწველობაში 2.100 კილოვატ-საათიდან 4.370 კილოვატ-საათამდე გაიზარდა. ძირითადად გადაჭრილია მრეწველობის ისეთი შრომატევადი და მძიმე პროცესების მექანიზაციის ამოცანა, როგორიცაა ქვანახშირის მონგრევა, ნავთისა და ტორფის მოპოვება, თევზის ჭერის მექანიზაცია და სხვ.

მეორე ხუთწლედის გეგმით **მრეწველობის** პროდუქცია უნდა გადიდებულიყო 43 მილიარდი მანეთიდან 93 მილიარდ მანეთამდე,—ნამდვილად კი 1937 წელს მრეწველობის პროდუქციამ 96 მილიარდ მანეთს მიაღწია.

მეორე ხუთწლედის გეგმით ჩვენი მრეწველობის პროდუქცია უნდა გადიდებულიყო 114 პროცენტით, ნამდვილად კი იგი 121 პროცენტით გაიზარდა. უკვე 1937 წლის 1 აპრილისათვის, ესე-იგი, უკვე 4 წლისა და 3 თვის განმავლობაში მრეწველობამ მიაღწია მეორე ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის დადგენილ დონეს. ამრიგად, მრეწველობამ მეორე ხუთწლედი ვადამდე შეასრულა.

მეორე ხუთწლედის გეგმით ხაშუალო-წლიური ტემპი განსაზღვრული იყო 16,5 პროცენტით, ფაქტიურად კი ჩვენ მივაღწიეთ ყოველწლიურ მატებას 17,1 პროცენტის რაოდენობით. მაშასადამე, ჩვენ გადავაჭარბეთ სამრეწველო პროდუქციის მატების იმ ტემპებს, რომლებიც გეგმით იყო მოცემული.

რა თქმა უნდა, მრეწველობის ყველა დარგი როდი მუშაობდა თანაბარი წარმატებით.

ყველაზე მეტი წარმატებანი ჩვენ გვქონდა მძიმე მრეწველობაში—საწარმოო საშუალებათა წარმოებაში. აქ პროდუქცია თითქმის ორნახევარჯერ გაიზარდა (240 პროცენტი) და გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა: მეორე ხუთწლედი ამ წარმოების ხაზით 122 პროცენტით არის შესრულებული. თუმცა, მძიმე ინდუსტრიის ზოგიერთ დიდმნიშვნელოვან დარგში, როგორიცაა თუჯი, ქვანახშირი, ნავთი, გეგმა საგრძნობლად შეუსრულებელი აღმოჩნდა.

მოხმარების საგნების წარმოება ერთი-ორად გადიდდა (200 პროცენტი), თუმცა გეგმა მთლიანად არ იყო შესრულებული. მოხმარების საგნების წარმოებაში, მსუბუქი მრეწველობის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო, ჩვენ გეგმის მხოლოდ 85 პროცენტს მივაღწიეთ, მაგრამ სსრ კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის კვების მრეწველობამ 113 პროცენტს მიაღწია, ესე-იგი თავისი ხუთწლიანი გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა.

ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორე ხუთწლედის განმავლობაშიც მძიმე მრეწველობის ზრდა თვალსაჩინოდ უფრო სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელი მრეწველობის ზრდა. ამის მთავარი მიზეზი გარემოებაა, რომ მეორე ხუთწლედის მიერ მეორე ხუთწლედშია დამზადებული. მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქცია გადიდდა არა ერთიორად და ცოტა მეტად, როგორც მეორე ხუთწლედით იყო დასახული, არამედ თითქმის ერთი-ნახევარად. 1938 წლის 1 იანვრისათვის არსებული დაზგების პარკიდან 50 პროცენტზე მეტი მეორე ხუთწლედის განმავლობაშია დამზადებული. ელექტროენერგიით მუშის აღჭურვილობა მთლიანად აღებულ მრეწველობაში 2.100 კილოვატ-საათიდან 4.370 კილოვატ-საათამდე გაიზარდა. ძირითადად გადაჭრილია მრეწველობის ისეთი შრომატევადი და მძიმე პროცესების მექანიზაციის ამოცანა, როგორიცაა ქვანახშირის მონგრევა, ნავთისა და ტორფის მოპოვება, თევზის ჭერის მექანიზაცია და სხვ.

მეორე ხუთწლედის გეგმით **მრეწველობის** პროდუქცია უნდა გადიდებულიყო 43 მილიარდი მანეთიდან 93 მილიარდ მანეთამდე,—ნამდვილად კი 1937 წელს მრეწველობის პროდუქციამ 96 მილიარდ მანეთს მიაღწია.

მეორე ხუთწლედის გეგმით ჩვენი მრეწველობის პროდუქცია უნდა გადიდებულიყო 114 პროცენტით, ნამდვილად კი იგი 121 პროცენტით გაიზარდა. უკვე 1937 წლის 1 აპრილისათვის, ესე-იგი, უკვე 4 წლისა და 3 თვის განმავლობ

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მესამე ხუთწლიანი გეგმა

მომხსენებელი ამხ. ვ. მოლოტოვი

გაგრძელება

განვითარებაში, განსაკუთრებით ხმოვან კინოდანადგართა ქსელის დიდ ზრდაში. საბჭოთა კავშირის ყოველ 100 მცხოვრებზე ჩვენს ბიბლიოთეკებში მოდის 75 წიგნი, რაც სამჯერ და უფრო მეტია, ვიდრე გერმანიაში იყო 1934 წელს. კულტურული მშენებლობის ზოდის ყველაზე უფრო სწრაფ ტემპებს ადგილი ჰქონდა ისეთ რესპუბლიკებში, როგორიც არიან ყირგიზეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ესე-იგი საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხებში.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული ჯანმრთელობის დაცვის დარგშიც. საკმარისია ითქვას, რომ სამკურნალო საწოლების რაოდენობა მეორე ხუთწლედში ერთნახევარჯერ გადიდდა.

საექსპლოატაციოდ გადაცემულ იქნა 26,8 მილიონი კვადრატული მეტრი ახალი საცხოვრებელი ფართობი. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ მეორე ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში თვალსაჩინო დანაკლისი გვაქვს.

საქონელბრუნვის დარგში მეორე ხუთწლედის მანძილზე ჩვენ მცირე წარმატებებს როდი მივაღწიეთ. საკმარისია ითქვას, რომ 1935 წლის განმავლობაში გაუქმებულ იქნა სადარაჯო სისტემა და ვაჭრობის დახურული ფორმები, ჯერ პურზე, შემდეგ კი ყველა სხვა სამრეწველო და სასურსათო საქონელზე. ამის მიღწევა ჩვენ შევძელით მხოლოდ სამრეწველო პროდუქციის სწრაფი ზრდის ბეოხებით და სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი აღმავლობის მეოხებით. სახელმწიფო-კოოპერატიული ვაჭრობის ბრუნვა 40-დან 126 მილიარდ მანეთამდე გაიზარდა. ამის შედეგად საკოლმეურნეო-საბაზრო ვაჭრობის ფასები ძლიერ შემცირდა, თუმცა მაინც, ჩვენ ვერ შევასრულეთ მეორე ხუთწლედის ამოცანა ფართო მოხმარების საგნებზე საცალო ფასების შემცირების დარგში. მაგრამ, როგორც ცნობილია, მეორე ხუთწლედის ამ დავალების შეუსრულებლობა გადაჭრებით არის ანაზღაურებული მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის რაოდენობის თვალსაჩინოდ უფრო მეტი გადიდებით, ვიდრე ხუთწლედით იყო გათვალისწინებული, აგრეთვე კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა ფულადი შემოსავლის სწრაფი ზრდით.

რათა სწორად შევაფასოთ საბჭოთა ხალხის მიერ მეორე ხუთწლედის განმავლობაში შესრულებული მუშაობის მნიშვნელობა, შევადაროთ მეორე ხუთწლედის შედეგები პირველი ხუთწლედის შედეგებს.

ჩვენ უფლება გვაქვს ვიამაყოთ ჩვენი პირველი დიადი გამარჯვებით სახალხო მეურნეობაში და ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ გარდაქმნაში—პირველი ხუთწლედის შესრულებით. ამ გამარჯვებამ მთელს ქვეყნიერებაზე დაიქუხა, როგორც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენამ.

მაგრამ მეორე ხუთწლედი პირველ ხუთწლედზე ბევრად მაღლა სდგას;

ავიღოთ თუნდაც ასეთი ფაქტები.

ჯერ ერთი: სახალხო შემოსავალი მეორე ხუთწლედის განმავლობაში ერთი-ორად და მეტად გადიდდა, უფრო ზუსტად—2,1-ჯერ. სახალხო შემოსავლის ამ გიგანტურ ზრდაში მოცემულია მეორე ხუთწლედის სამეურნეო წარმატებათა საერთო შედეგი.

მეორეც. პირველ ხუთწლედში ამუშავდა 39 მილიარდი მანეთის ახალი და რეკონსტრუირებული მშენებლობანი, ხოლო მეორე ხუთწლედში—103 მილიარდი მანეთისა, რაც პირველ ხუთწლედთან შედარებით იძლევა მომატებას 2,2-ჯერ. ეს ფაქტი მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირში მეორე ხუთწლედში შექმნილია პირობები სახალხო მეურნეობის შემდგომი, და გაცილებით კიდევ უფრო მძლავრი აღმავლობისათვის.

მეორე ხუთწლედის წარმატებანი თვითდინებით როდი მივიღეთ. ჩვენ ისინი მოვიპოვეთ შეუპოვარ ბრძოლაში მრავალი სიძნელის გადალახვით.

ჩვენ გზაზე გველობებოდნენ ექსპლუატატორულ კლასთა ნაშთები. ისინი ებღაუჭებოდნენ თავის მდგომარეობას, მაგრამ პირწმინდად აღგვილ იქნენ. მიუხედავად იმისა, რომ გავახადგურეთ კლასობრივი მტერი ჩვენი ქვეყნის შიგნით, ამით ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვიხსნია კლასობრივ მტრებთან ბრძოლის საკითხი.

სანამ საბჭოთა კავშირს აქვს გარეშე კაპიტალისტური გარემოცვა, ჩვენ არ შეგვიძლია გავთავისუფლდეთ იმის მოვალეობისაგან, რომ ვაწარმოოთ მასთან ბრძოლა, ბრძოლა მის ახალ და ახალ გამოსვლებთან საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, სსრ კავშირის წინააღმდეგ. მავნებლობისა და ჯაშუშობის წინააღმდეგ გაძლიერებული ბრძოლის ხანა, ბრძოლისა, რომლისთვისაც ჩვენ უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღების მიქცევა მოგვიხდა, თავისთავად მეტყველებს. კაპიტალიზმმა და, განსაკუთრებით, მისმა ფაშისტურმა ძალებმა ამ ბრძოლაში გამოიყენეს ყველაფერი, და მათ შორის სსრ კავშირთან ბრძოლის უველაზე ბინძური, უველაზე საზიზღარი საშუალებანი. ისინი არაფერს ერიდებოდნენ და ამისათვის გამოიყენეს უველა ეს ტროცკისტ-ბუხარინელი-იაგოდელ-რიკოველი გადაგვარებულნი და მათი მოკავშირენი ბურჟუაზიული ნაციონალისტებიდან, მაგრამ სსრ კავშირის ზრდის შეჩერება და მისი წინსვლის შენელებაც კი მათ ვერ შესძლეს. ჩვენ მივიღეთ კლასობრივი ბრძოლის, კაპიტალისტურ გარემოცვასთან და, განსაკუთრებით, კაპიტალიზმის ფაშისტურ ძალებთან ბრძოლის ახალი გაკვეთილი. ჩვენ, ალბათ, შევძლებთ ეს გაკვეთილი გამოვიყენოთ იმისათვის, რომ დიდად გავაძლიეროთ ჩვენი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების უველა მტერთან, და უოველმხრივ განვამტკიცებთ ჩვენს სახელმწიფოს ამ საქმის ინტერესებისათვის.

გაეწმინდეთ რა სსრ კავშირი მტრული კლასებისაგან, ექსპლუატატორებისაგან, ჩვენ ჯერ კიდევ არ მოგვიხდენია საერთოდ კლასების ლიკვიდაცია. დარჩა მუშათა კლასი, დარჩა გლეხობა. ეს უკვე აღარ არის წინანდელი მუშათა კლასი და წინანდელი გლეხობა. შეიცვალა მათი როლი საზოგადოებასა და სახელმწიფოში. ბევრი მხრივ შეიცვალა მათი ყოფაცხოვრება, მათი კულტურული და ზნეობრივი სახე.

მოვსთვი რა ექსპლუატატორულ კლასთა ნაშთები, ჩვენ შევქმენით საზოგადოება ორი, ერთმანეთისადმი მეგობრული კლასისაგან — მუშათა კლასისა და გლეხობისაგან. ამ საზოგადოებაში ჩამოყალიბდა თავისი ინტელიგენცია, ახლა უკვე არა ბურჟუაზიული და არა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, არამედ, ძირითადად, სოციალისტური ინტელიგენცია. ეს ინტელიგენცია, რომელიც სისხლხორცეულად დაკავშირებულია მშრომელებთან და სოციალიზმთან, —დიდ როლს თამაშობს მთელს ხელმძღვანელ მუშაობაში ახალი საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარებისა და განმტკიცებისათვის. ქალაქებსა და სოფლის უწინდელი დაპირისპირება უკვე ძირგამოთხრილია, მაგრამ არსებითი განსხვავება ამ კლასებს შორის ჯერ კიდევ არსებობს. ეს განსხვავება არის, უწინარეს უოვლისა, იმიტომ, რომ მუშები მუშაობენ საწარმოებში, რომელთაც საყოველთაო - სახალხო, სახელმწიფო - სოციალისტური ხასიათი აქვთ, ხოლო გლეხები—კოლმეურნეობებში, რომელთაც კოოპერატიულ-სოციალისტური ხასიათი აქვთ. ორივე ეს კლასი — მუშათა კლასიც და კოლმეურნე გლეხობაც—უკვე წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოების კლასს. და თუმცა ხელმძღვანელი როლი რჩება მუშათა კლასს, როგორც მოწინავე და სრული კომუნიზმის დამყარებისათვის უფრო მომზადებულ კლასს, მაგრამ გლეხობას, თავის მხრივ, უკავია არა პასიური პოზიცია, არამედ იგი აქტიურ როლს თამაშობს ახალი საზოგადოების მშენებლობაში, კომუნიზმის მშენებლობაში. სწორედ ეს მდგომარეობა არის განმტკიცებული სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციაში, რომლის დიადი მნიშვნელობა განუყოფლად დაკავშირებულია ამხანაგი სტალინის სახელთან. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ნიშნავს თუ არა ეს, რომ უკვე **უველა** მუშა და **უველა** გლეხი გახდა ჩვენი საზოგადოების მოწინავე ადამიანი? არა, ჯერ კიდევ არ ნიშნავს.

მუშებს შორისაც არიან მოწინავენი და არიან ჩამორჩენილნი, მახინჯებზე რომ აღარაფერი ვთქვათ. ასევე გლეხებს შორისაც: არიან მოწინავენიც, არიან ჩამორჩენილნიც. არიან, რასაკვირველია, უბრალო ჩამორჩენილებზე უარესნიც. ჩვენი დროის მოწინავე ადამიანები არიან კომუნიზმის აქტიური და თავდადებული მშენებლები, საუკეთესო მებრძოლნი ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. ჩვენი საზოგადოების ამ მოწინავე ადამიანებს უკვე შეგნებულად მიჰყვება მუშათა და გლეხთა უდიდესი მასა. მაგრამ მუშებს შორისაც, რომ აღარაფერი ვთქვათ მოსამსახურეებზე, ჯერ კიდევ ცოცხლობს, წვრილბურჟუაზიული ჩვეულებანი ჯერ კიდევ ცოტა როდი არიან ისეთები, რომელნიც მზად არიან რაც შეიძლება მეტი წაჰგლეჯონ სახელმწიფოს, ხოლო შემდეგ თუნდაც ქვა ქვაზე ნუღა დარჩება. ამიტომ საჭიროა ბრძოლა სახელმწიფოს ინტერესებისათვის და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ჩვენს საწარმოებსა და დაწესებულებებში, საჭიროა ბრძოლა ცუღლუტებთან, დოყლაპიებთან და ფრენიებთან. გლეხებს შორისაც ჯერ კიდევ ცოტა როდი არიან ისეთნი, რომელთაც არაფრად მიაჩნიათ არა მარტო სახელმწიფოს ინტერესები, არამედ თავისი კოლმეურნეობის ინტერესებიც კი, რომელნიც მხოლოდ იმაზე ჰფიქრობენ, რომ რაც შეიძლება მეტი წაჰგლიჯონ სახელმწიფოსაცა და კოლმეურნეობასაც. აქაც საჭიროა ბერიოზული ზომები დისციპლინის განმტკიცებისა და აღზრდის სფეროში. თუ ასეთი ზომები არ მივიღეთ, თუ არ ვაწარმოეთ გაძლიერებული მუშაობა მშრომელთა აღსაზრდელად სოციალისტური საკუთრებისა და სახელმწიფოს განმტკიცების სულისკვეთებით, შეუძლებელია ჩამორჩენილი ადამიანების გადაქცევა კომუნიზმის შეგნებულ და აქტიურ მშენებლებად.

ჩვენი ძალა იმაშია, რომ საბჭოთა კავშირში ყოველ საქმეში ტონს იძლევიან ჩვენი ხალხის მოწინავე ადამიანები. ვინ არიან ეს ადამიანები? შეგნებული კომუნისტები, არაპარტიული ბოლშევიკები, სტახანოველები, მოწინავე კოლმეურნეები, სოციალისტური ინტელიგენცია,—აი ეს ადამიანები, აი ახალი ცხოვრების შემომქმედნი! მათი რიცხვი და საზოგადოებრივი მნიშვნელობა დღითიდღე იზრდება.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ამხ. კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა

წითელი არმიის **ქიმიური დაცვის ჯარებიც**, რომლებიც მოწოდებული არიან დაიცვან არმია მტრის ქიმიური თავდასხმისაგან და მტრის მხრივ ქიმიური საშუალებებით დარტყმაზე იმავე ქიმიური დარტყმით უპასუხონ, შეიცვალნენ თავისი ორგანიზაციის მხრივ და რიცხვობრივად ერთიორად გაიზარდა.

ქიმიური დაცვის საშუალებანი ახლანდელი მომენტისათვის ხარისხობრივადაც და რაოდენობრივადაც სრულიად არ ჰგვანან იმას, რაც ჩვენ 5 წლის წინათ გვქონდა.

გაუმჯობესდა უწინარეს ყოვლისა მებრძოლის კანის დაუფარავი ნაწილის და სუნთქვის დაცვის საშუალებანი, საკმაო რაოდენობით არის შექმნილი დასაცავი საშუალებანი, რომელნიც იცავენ მებრძოლს შესაძლებელი ქიმიური საჭაერო თავდასხმებისაგან, აგრეთვე მიღებულია ცხენის დასაცავი საშუალებანი და ქიმიური ომუშავლისაგან ქონების დასაცავი საშუალებანი.

ხარისხობრივად გაუმჯობესდა და რაოდენობრივად თვალსაჩინოდ გადიდდა მიდამოს მექანიკური და ტექნიკური დეგაზაციის საშუალებანი. დიდი მუშაობაა შესრულებული ამ მიზნით სპეციალური მანქანების შესაქმნელად.

სულ ორიოდე სიტყვა **კავშირგაბმულობის ჯარების** მდგომარეობის შესახებ, ამ მეტად მნიშვნელოვანი სახის ჯარების შესახებ, რომელთაც ეყრდნობა მთელი მუშაობა ჯარების მართვისა და ხელმძღვანელობის დარგში მშვიდობიანსა და, განსაკუთრებით, ომის დროს.

კავშირგაბმულობის ჯარები გაიზარდნენ 37 პროცენტით. ზრდა მოხდა იმ გზით, რომ კავშირგაბმულობის ჯარები თვალსაჩინოდ იქნენ აღჭურვილნი თანამედროვე ტექნიკით.

შემოღებულია მოქმედების გადიდებული რადიუსისა და საბეჭდი აპარატებით აღჭურვილი რადიოსადგურები.

სწრაფმომქმედი სატელეგრაფო აპარატურა 200 პროცენტით გადიდდა. შემოღებულია შორმომქმედი სატელეფონო აპარატურა.

გაძლიერდა კავშირგაბმულობის ჯარების მოძრაობის უნარიანობა.

კავშირგაბმულობის ჯარები ითვლიან სავსებით მოტორიზებული არიან.

ყოველივე ამან და მრავალმა სხვა გარემოებამ მოითხოვა ამ სახის ჯარების რაოდენობის გადიდება და ხარისხობრივი გაუმჯობესება.

განსაკუთრებულად სდგას ჩვენი ქვეყნის აქტიური **საჰაერო** თავდაცვის საკითხი. ამ საკითხს განსვლილ პერიოდში საგრძნობი ყურადღება ექცეოდა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვიკეთებია ყველაფერი, რაც საჭიროა. მაგრამ უკვე დღეისათვის ჩვენ გვაქვს ჩვენი ქვეყნის ძირითადი ცენტრების საჰაერო თავდაცვის მკვეთრი გაუმჯობესება.

საკმარისია აღვნიშნოთ მარტო საზენიტო არტილერიის რიცხვობრივი ზრდა, რათა გასაგები გახდეს, თუ რა დიდი მუშაობაა უკვე შესრულებული. საზენიტო არტილერია გაიზარდა 288,3%-ით.

გაუმჯობესდა აგრეთვე საზენიტო არტილერიის ხარისხი, ასე, მაგალითად, საზენიტო არტილერიის ჭერი გაიზარდა 60%-ით **(ტაში).**

უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ცენტრებისა და ქალაქების საჰაერო თავდაცვა ჩვენში, როგორც ვიცით, აგებულია საზენიტო არტილერიისა და გამანადგურებელი ავიაციის ურთიერთმოქმედებაზე. ამ ურთიერთმოქმედების ორგანიზაციის გაუმჯობესებასთან ერთად ხდებოდა გაშანადგურებელი ავიაციის გადიდება, რომელიც 142,3%-ით გაიზარდა.

მე არ ვეხები ეგრეთწოდებული ჰასიური (თვითონ სიტყვა რად ღირს!) საჰაერო თავდაცვის, ანუ უკეთ და უფრო სწორად რომ ითქვას, ადგილობრივი, სამოქალაქო საჰაერო თავდაცვის საკითხებს, თუმცა ეს საკითხი იმის ღირსია, რომ მის შესახებ ითქვას უველაფერი, რის თქმაც საჭიროა. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ დარგში საქმე, სამწუხაროდ, მოიკოჭლებს და არა იმდენად ჩვენი (სამხედროების) მიზეზით, რამდენადაც ადგილობრივი მუშაკების მიზეზით. საჭიროა ამ საქმეს უშუალოდ და გაუკიანურებლად მოეკიდოთ ხელი.

მე სრულებით არ ვეხები შინაარმიო სამხედრო საჰაერო თავდაცვის საკითხებს, იგი ნორმალურად ვითარდება არმიის ზრდის შესაბამისად.

რომ მეტი არ დავლალო თქვენი ყურადღება, გამოვტოვებ ბევრ საკითხს, რომლებიც ეხება დამხმარე ჯარებს, როგორიცაა საარკინიგზო, საინჟინერო, საპროექტორო, ავტოსატრანსპორტო და სხვა ჯარები, რომლებმაც, ისე როგორც მთელმა არმიამ, ამ ხნის განმავლობაში მკვეთრად იცვალეს სახე რიცხვობრივადაც და, განსაკუთრებით, ხარისხობრივად.

სამხედრო - საჰაერო ძალები 1934 წლთან შედარებით თავისი პირადი შემადგენლობის მხრივ გაიზარდნენ 138%-ით, ე. ი. თითქმის ორნახევარჯერ მეტი გახდნენ **(ტაში).**

თვითმფრინავთა პარკი, მთლიანად აღებული, გაიზარდა 130%-ით, ე. ი. გადიდდა ორჯერ და გაცილებით უფრო მეტად.

ხოლო თუ საჰაერო ფლოტის გაზრდილ სიმძლავრეს გამოვხატავთ ავიამოტორების ცხენძალებში 1934 წელთან შედარებით, ჩვენ მივიღებთ 7.900.000 ცხენძალის ზომატებას ანუ 213%-ით ზრდას იმასთან შედარებით, რაც 5 წლის წინათ იყო **(ტაში).**

საჰაერო ფლოტის რიცხვობრივ ზრდასთან ერთად მისი ხარისხობრივი არსიც შეიცვალა.

აი მოკლე ცნობები, რომლებიც ადასტურებენ ზემონათქვამს:

	ზრდა					
	სიჩქარის		სიმაღლის		სიმძორის	
გამანადგურებლები	56,5%	-ით	21,5%	-ით	—	
ყუმბარმშენები (ახლო მომქმედი)	88 %	-ით	83 %	-ით	50%	-ით
ყუმბარმშენები (შორმომქმედი)	70 %	-ით	77 %	-ით	61%	-ით
მზვერავები და მოიერიშენი . .	67 %	-ით	23 %	-ით	45%	-ით

ამ ხნის განმავლობაში შეიცვალა, რაც ფრიად მნიშვნელოვანია, აგრეთვე სხვადასხვა სახის ავიაციის თანაფარდობა სამხედრო - საჰაერო ფლოტის შიგნით.

მძიმე-ყუმბარმშენი ავიაცია 10,6 %-დან გაიზარდა 20,6%-მდე—ე. ი. ერთი-ორად.

მსუბუქ - ყუმბარმშენი, საიერიშო და მზვერავი ავიაცია 50,2%-დან შემცირდა 26%-მდე, ე. ი. ერთი-ორად.

გამანადგურებელი ავიაცია 12,3%-დან გაიზარდა 30%-მდე, ე. ი. 2½-ჯერ.

ამრიგად, სხვადასხვა სახის ავიაციის თანაფარდობა ორჯერ და კიდევ მეტად შეიცვალა ყუმბარმშენთა და გამანადგურებელთა სასარგებლოდ.

ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ავიაცია საერთოდ უფრო მძლავრი გახდა და მისი დამკვრელი ძალა შესაბამისად გაიზარდა.

თუ 1934 წელს მთელს ჩვენს საჰაერო ფლოტს შეეძლო ერთ გაფრენაზე ჰაერში აეტანა 2.000 ტონა ავია-ყუმბარა, ამჟამად მას უკვე 208%-ით მეტი აეძგს; სხვანაირად რომ ვთქვათ, ყუმბარების ერთდროული ბათქი ერთი-სამად გაიზარდა. გამანადგურებელი ლითონის ეს მასა, რომელსაც უდიდეს მანძილზე გადანაცვლების უნარი აქვს, შეიძლება არც თუ ცუდი საბჭოთა დამშვიდებელი პერანგი გამოდგეს მოდვეთი იდეებით შეპყრობილი აგრესორებისათვის, თუ ისინი იმდენად დაჰკარგავენ გონებას, რომ წამოიწევენ საბჭოების მიწისაკენ **(მჭუხარე ტაში).**

ამავე დროს გაიზარდა ჩვენი სამხედრო-საჰაერო ფლოტის ტყვიამფრქვევთა ბათქის სიმძლავრე. თუ 1934 წელს ერთ წამში უველა საავიაციო ტყვიამფრქვევს შეეძლო მოეცა 100% გასროლა, 1939 წელს მათ შეუძლიათ მოგვცენ 300%-ით მეტი.

ჩემთვის გასაგებია ამხანაგების ბუნებრივი სურვილი — იცოდნენ, თუ რა თვითმფრინავები მოგვეპოვება ჩვენ, როგორი, არა პროცენტული, არამედ ადამიანის გონებისათვის მისაწვდომი მაჩვენებლებით თუნდაც სიჩქარის, ჭერის, შორფრენის მხრივ. მინდა რა დავაკმაყოფილო ეს ბუნებრივი სურვილი, მე მოგახსენებთ, რომ ამჟამად ჩვენს სამხედრო აეროდრომებზე ხშირად შეხვდები არა მარტო გამანადგურებელს, არამედ უმმბარმშენსაც კი ისეთი სიჩქარით, რომელმაც დიდად გადაამეტა 500 კილომეტრს საათში **(მჭუხარე ტაში. შეძახილები — ბაში მოხდა ჩვენი არმიის ორგანიზაციაში, შეიარაღებასა და ტექნიკურ აღჭურვაში. ჩვენი არმია სულ სხვანაირი გახდა რიცხვობრივადაც და განსაკუთრებით ხარისხობრივად.**

მე არაფერი არ მითქვამს ადამიანებზე, ჩვენს მებრძოლებზე, მეთაურებზე, კომისრებზე, პოლიტმუშაკებზე, უფროსებზე, ინჟინრებზე, ტექნიკოსებზე, სამხედრო ექიმებზე, სამეურნეო მუშაკებზე, ერთი სიტყვით, ჩვენი არმიის იმ ადამიანებზე. რომელიც საბოლოო ანგარიშით სწყვეტს უველაფერს და საზღვრავს მუშურ-გლეხური წითელი არმიის ნამდვილ საბრძოლო ძალას და ძლიერებას.

ტექნიკა უადამიანებოდ მკვდარია. ტექნიკა მცოდნე ადამიანთა ხელში, იმ ადამიანთა ხელში, რომელნიც დაეუფლნენ ტექნიკას, უდიდესი ძალაა.

კადრები სწყვეტენ უველაფერს. ეს უდავოა. სწორედ ამიტომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მთავრობა ასე დიდ ყურადღებას აქცევდნენ და აქცევენ თავისი, ნამდვილი საბჭოთა სამხედრო კადრების, მაღალი სამხედრო მოვალეობის შემგნები ადამიანების, თავისი სამშობლოს **და ლენინ - სტალინის** დიადი საქმის უსაზღვროდ ერთგული ადამიანების დაგროვების საკითხებს. დიდი ყურადღება ექცევა ჩვენი კადრების ზრდასა და გაუმჯობესებას პოლიტიკური და სპეციალურად სამხედრო მხრით. ჩვენ საკმაო რაოდენობისა და საჭირო ხარისხის კადრები გვყავს. ისინი განუწყვეტლივ იზრდებიან ყოველმხრივ ჩვენი დიადი ქვეყნის ზრდასთან ერთად; სწორედ ასეთი ადამიანები, ასეთი კადრები ხდიან ჩვენს წითელ არმიას პირველხარისხოვან არმიად, რომელიც ურყეევია თავისი ორგანიზაციის, შეიარაღების, საბრძოლო მომზადების მხრივ და ერთადერთია თავისი სულიერი სიმტკიცის, პოლიტიკური და მორალური ძლიერების მხრივ.

ამ პერიოდში, როდესაც ვწუხდით წითელ არმიას საზიზღარ ადამიანთაგან, რომლებმაც უღალატეს თავის სახელმწიფოს და საბრძოლო დროშას, ფაშისტმა და სხვა იმპერიალისტმა აგრესორებმა საქვეყნოდ მორთეს გააფთრებული ღმუილი სამხედრო კადრების შესუსტებისა და, ამის გამო, წითელი არმიის საბრძოლო სიმძლავრის შემცირების შესახებ და სხვა ამგვარი.

ამხანაგმა **სტალინმა** მთელი სიცხადით გამოამჟღავნა ის ფესვები, საიდანაც წარმოიშობა ხოლმე ჩვენი მტრების ამგვარი ღმუილი. ჩვენ, თურმე, ცუდად ვიქცევით, როდესაც ვსჯით აგენტურასა და მზვერავებს ჩვენი არმიის რიგებში, სადაც ეს მძოვრი მოგზავნილია უცხოეთის დაზვერვათა მიერ! ბატონ ფაშისტ მესვეურებისა და მათი დამქაშებისათვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა, საზიზღარ მოღალატე ტუხაჩევსკებს, ეგოროვებს, ორლოვებსა და სხვა მოსყიდულ გარეწრებს რომ განეგრძოთ მოქმედება ჩვენს რიგებში და გაეცათ ჩვენი არმია, ჩვენი ქვეყანა. რა თქმა უნდა, მსოფლიო ხოცვა-ჟლეტის ორგანიზატორებისათვის გაცილებით უფრო მოსახერხებელია აკეთონ თავიანთი შავბნელი საქმე, როცა საკუთარი სამედო აგენტურა ჰყავთ სხვის არმიებში, ქურდისათვის ხომ გაცილებით უფრო ადვილია სხვის სახლში შეპარვა, თუ ამ სახლს შიგნიდან გაუღებენ მისი თანამზრახველები.

შეიძლებოდა ყურადღება არ მიგვექცია ფაშისტი მჭლიანწელების ამ იმსიონიაციებისათვის წითელი არმიის სისუსტის შესახებ და სხვ., ფაშისტ აგრესორებს აქედან მეტად რეალური დასკვნები რომ არ გამოჰქონდეთ.

მე მხედველობაში მყავან ის ვაჟბატონები, რომლებიც, იქვებებიან რა თავის მეგობართა ცნობებით წითელი არმიის დასუსტების შესახებ და, რაც მთავარია, ჰკარგავენ ჩვენს არმიაში შემოგზავნილ თავიანთ აგენტურას, წინდაუხედავად აჩქარდნენ „გამოეყენებინათ“, როგორც მათ მოეჩვენათ, „ხელსაყრელი შემთხვევა“ და დაიძრნენ ხასანის ტბისაკენ, რათა შემომძვრალიყვნენ საბჭოთა ჭიშკარქვეშ და მოეთბოთ ხელი სხვის დოვლათზე, გამოესწორებინათ თავისი არეულდარეული საქმეები.

ამ ავაზაკური ავანტიურის შედეგები საყოველთაოდ ცნობილია.

სახელოვანმა 1-მა წითელდროშოვანმა ცალკე არმიამ თავის მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა იარაღით წაწერა ზურგზე იაპონელ საშოვრის მოყვარულთ თავისი პასუხი საბჭოთა არმიის ნამდვილი ბრძოლისუნარიანობის შესახებ, მისი მეთაურთა და პოლიტიკური კადრების მდგომარეობის შესახებ.

იქედი ვიქონიოთ, რომ ეს საგნობრივი გაკვეთილი გათვალისწინებული იქნება იმათ მიერ, ვისი გაუმაძღარი თვალიც ხარბად შემოჰყურებს საბჭოთა სახელმწიფოს, ვისაც ელანდება დასუსტებული წითელი არმია, ვინც მზად არის დაიჯეროს ლეგენდა, რომ საბჭოთა მიწა-წყალი ადვილი ხელმისაწვდომია აგანტიურისა ავანტიურებისათვის.

თუ ხასანის საგნობრივი გაკვეთილები მაინც საკმარისი არაა, ჩვენი წითელი არმია მზად არის ყოველ წუთს **განუმეოროს** ეს გაკვეთილები უფრო გაფართოებული და უფრო დამარწმუნებელი მოცულობით ყველას, ვინც მაინცდამაინც მოისურვებს ამას. **(ტაში).**

წითელი არმიის ერთი-ორად და კიდევ მეტად გადიდებასთან დაკავშირებით, აგრეთვე მასში საბრძოლო და დამხმარე ტექნიკის მეტად გაძლიერებისა და გართულების გამო, შესაბამისად იზრდებოდა და, მაშასადამე, კიდეც აბალგაზრდავდებოდა მეთაურთა, პოლიტიკური და მთელი დანარჩენი უფროსთა შემადგენლობა.

ჩვენი კადრების რიცხვობრივ ზრდას გასული ხუთი წლის განმავლობაში შემდეგი ცნობები ახასიათებს:

მსროლელთა ჯარის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობა, ამ ჯარის საარტილერიო ერთეულების ჩათვლით, გადიდდა 118%-ით,

ცხენოსანთა ჯარისა—66%-ით,

ავტოჯავშან-სატანკო ჯარისა — 154%-ით,

ცალკე არტილერიის კადრები გაიზარდნენ 124,5%-ით,

ავიაციის კადრები მთლიანად, საინჟინერო-ტექნიკური და შიმსახურე შემადგენლობის ჩათვლით, გაიზარდნენ 148%-ით, ხოლო თუ ცალკე ავიღებთ მფრინავებს, მათი რიცხვი გადიდდა 184%-ით, ავიაციის ინჟინერთა რიცხვი კი ცალკე გადიდდა 801%-ით.

წითელი არმია, მთლიანად აღებული, მშვიდობიან დროს, **რა თქმა უნდა,** წარმოადგენს უდიდეს გაწვრთნილ სკოლას, სადაც ასიათასობით კარგი საბჭოთა ადამიანები გამუდმებით სწავლობენ არა მარტო თავიანთ საქმეს, სპეციალობის მიხედვით, ეუფლებიან მტრის დამარცხების ხელოვნებას, არამედ სადაც უველანი —მებრძოლიდან სარდლობამდე ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეთაურობით ეუფლებიან მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას.

წარმატებით მუშაობს თუ არა მოზრდილთა ეს გიგანტური სკოლა? ერთი რამ შეიძლება ითქვას—მუშაობენ ბევრს, შეუპოვრად. მიღწევები არის, და არც მცირე მიღწევები, მაგრამ საჭიროა კიდევ მეტი და უფრო დაძაბული მუშაობა, წარმატებები უნდა ვამრავლოთ, ისინი ჯერ კიდევ არ არიან საკმარისნი.

უველა ბურჟუაზიული ქვეყნის არმიებს, ყოველ შემთხვევაში რაგოთს ჯარისკაცებსა და წვრილფეხა ოფიცრობას, უცილობლად აკრძალული აქვთ პოლიტიკაში მონაწილეობა. იქ პოლიტიკისათვის სჯიან. ჩვენი არმია ძლიერია პოლიტიკური შეგნებულობითა და პოლიტიკური აქტივობით, აქედან გამომდინარეობს მოთხოვნები მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა და სხვა კადრებისადმი—თუ გსურს საუარგებლო იყო შენს ადგილზე და საჭირო შენი ხელქვეითებისათვის, თუ გსურს პატიოსნად ემსახურო შენს ხალხსა და ლენინ-სტალინს საქმეს, თუ გსურს იყო ნამდვილი ბოლშევიკი ლენინელი, ისწაყლე, ბევრი ისწავლე, განუწყვეტლივ იმუშავე შენს დახელოვნებაზე, მკვიდრად იცოდე შენი სპეციალობა, თორემ თავს ვერ გაართმევ შენთვის დავალებულ საქმეს, თავს შეირცხვენ ხელქვეითთა წინაშე, ხოლო, რაც მთავარია—აუცილებლად იყავ პოლიტიკურად გათვითცნობიერებული, ბოლშევიკურად აქტიური, თუ ჩინებული არ შეგიძლია იყო, იყავ კარგი, აუცილებლად კარგი სპეციალისტი, მაგრამ იყავ ამდენადვე კარგი პოლიტიკურად გამობრძმედილი მოქალაქე სოციალისტური სახელმწიფოსი, მისი სასარგებლო მშენებელი. სამწუხაროდ, ამ მოთხოვნების წითელი არმიის მთელი პირადი შემადგენლობა ყოველთვის როდი ასრულებს პუნქტუალურად, მაგრამ მუშურ-გლეხური წითელ არმიაში კადრების სწავლებისა და მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის დიდი მუშაობა მიმდინარეობს და წარმატებითაც.

წითელი არმიისათვის მეთაურთა და სხვადასხვა სპეციალისტების მოსამზადებლად, ე. ი. უველა სპეციალობის ჩვენი წითელი ოფიცრების კორპუსის კადრების შესავსებად, ჩვენ გვაქვს კარგად მომქმედი სასკოლო ქსელი.

63 სახმელეთო სასწავლებელი, სადაც ათიათასობით სწავლობენ ჩვენი საუკეთო საბჭოთა ახალგაზრდები, ყოველწლიურად აძლევს არმიას ათასობით კარგად გაწრთვნილ, პოლიტიკურად ვაცნობიერებულ და **ლენინ-სტალინის** პარტიის ერთგულ ახალგაზრდა მეთაურ-ლეიტენანტებს.

ავიაციის კადრების შევსება ხდება 32 სპეციალური საფრენოსნო და საფრენოსნო-ტექნიკური სკოლიდან. ამ სკოლებში პარტია და კომკავშირი გზავნიან თავიანთ საუკეთესო შვილებს ორ ათეულ ათას კაცზე მეტი რაოდენობით; აქ ისინი სწავლობენ, რათა მომავალში გახდნენ წითელი მფრინავები, შტურმანები და ავიაციის სპეციალისტები. ამ ავიასკოლებში ისევე, როგორც სხვა სამხედრო სკოლებშიც, გარდა სპეციალური პროგრამისა, გადიან აგრეთვე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ციკლებს.

სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტების საერთო ზრდა 5 წლის განმავლობაში შემდეგნაირად გადიდდა:

საბძელეთო სკოლებში — 117,8 პროცენტით.

ცალკე სამხედრო - პოლიტიკურ სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტი გაიზარდა 273,3 პროცენტით.

საჰაერო ფლოტის სკოლების კონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობა

ამხ. კ. ე. ვოროშილოვის სიტყვა

წილად ჯეროვანად განათლებულ მეთაურთა, კომისართა, სპვადასხვა სპეციალობის ინჟინერთა, ექიმთა, სამეურნეო მუშაკთა და სხვ. საჭირო რაოდენობას.

გარდა ამისა, სამხედრო აკადემიებთან არსებობს საღამოს და დაუსწრებელი კურსები ამ აკადემიების პროგრამით; აქ სწავლობს არმიის დაახლოებით თხუთმეტი ათასი მეთაური და უფროსთა შემადგენლობა.

მე არაფერი მითქვამს ჩვენს უმცროს მეთაურთა შემადგენლობის ხახევარწლიანს და ერთწლიან სამხედრო სკოლებსა და კურსებზე, სადაც წითელი არმია ყოველწლიურად ამზადებს რამდენიმე ასი ათას კაცს.

სამხედრო სკოლები არმიის ცხოვრებაში უდიდეს და შესანიშნავ როლს ასრულებენ ისინი არმიას აძლევენ უმცროს მეთაურს, რომელიც წარმოადგენს სამხედრო ორგანიზაციის საფუძველს, წითელარმიელთა პირველ და უახლოეს უფროსს, მეთაურს, რომელიც ყოველთვის და მუდამ იზიარებს რიგითს მებრძოლებთან ერთად სამხედრო ცხოვრების ყოველგვარ სიხარულსა და სიძნელეს, როგორც მშვიდობიან, ისე საბრძოლო ვითარებაში. უმცროსი მეთაურები საუკეთოდ იბრძოდნენ ხასანის ტბის რაიონში, მათ მაღალ ეჭირათ ჩვენი წითელი არმიის საბრძოლო დროშა, მათ დაიხსომებს გათავხედებული მტერი **(მქუხარე ტაში. ყველა დელეგატი დგება და ფეხზე ადგომით მიესალმება მოძხსენებელს. შეძახილები: „გაუმარჯოს წითელ არმიას!“).**

თადარიგის კადრების შესახებ. რა რიგ დიდი არ უნდა იყოს მშვიდობიანობის დროს არმიის კადრები, ისინი საკმარისი არ არიან ომისათვის, რომ სავსებით უზრუნველჰყონ ომიანობის დროის არმია. ამიტომ გვიხდება დიდი მუშაობის წარმოება იმ მხრივ, რომ დავაგროვოთ და კვალიფიკაციის სათანადო დონეზე ვიყოლიოთ თადარიგის მეთაურთა, პოლიტიკური და უფროსთა შემადგენლობის კადრები.

ომიანობის დროის არმიის მეთაურთა შემადგენლობით დაკმაყოფილების საკითხები ყველაზე ძნელ საკითხებს წარმოადგენენ კაპიტალისტური ქვეყნების ყველა არმიისათვის. ჩვენთვის ეს სიძნელეები არ არსებობენ. ომიანობის დროის არმიის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის დაკომპლექტებისა და შემდგომი შევსების საკითხები ძირითადად და უმთავრესად ჩვენ უკვე გადავჭერით.

წითელი არმიის მაჯერიალურ-კულტურული მდგომარეობა

ჩვენი რიგითი მებრძოლების მატერიალური მდგომარეობა მაღალ დონეზე დგას. კვება, ტანისამოსი, დაბინავება — წითელარმიელის ყოფა-ცხოვრების ყველა ეს და სხვა საკითხები იყო და ყოველთვის რჩება უმნიშვნელოვანეს საკითხებად, რომლებზედაც მუდამ მუშაობს მეთაურთა, კომისართა და პოლიტმუშაკთა მთელი შემადგენლობა.

მთლიანად უფროსთა შემადგენლობის მატერიალური მდგომარეობა განვლილი ხუთი წლის მანძილზე მკვეთრად შეიცვალა.

მეთაურთა, კომისართა, პოლიტიკური და დანარჩენ უფროსთა მთელი შემადგენლობის ხელფასი საშუალოდ 286%-ით გაიზარდა.

ხელფასის განაკვეთების ზრდა ძირითად თანამდებობათა მიხედვით

(მანეთებში)

	1934 წ.	1939 წ.	გადიდება %%-ში
ოცეულის მეთაური	260	625	240%
ასეულის მეთაური	285	750	263%
ათასეულის მეთაური	335	850	254%
ლეგიონის მეთაური	400	1.200	300%
დივიზიის მეთაური	475	1.600	337%
კორპუსის მეთაური	550	2.000	364%

მეტისმეტად გადიდდა წითელი არმიის კულტურული მომსახურების საშუალებანი, რაც, რა თქმა უნდა, უაღრესად სასარგებლო გავლენას ახდენს მებრძოლთა და არმიის მთელი შემადგენლობის კულტურულობის ზრდაზე.

ასე, მაგალითად,—1934 წელს ჩვენ გვქონდა 15.091 ლენინის კუთხე, 1939 წელს გვაქვს 26.435 ასეთი კუთხე.

შესაბამისად—კლუბები გვქონდა 1.336, ახლა გვაქვს 1 900.

წითელი არმიის სახლები, ნაცვლად 142-სა, რაც 1934 წელს გვქონდა, ახლა გვაქვს 267.

მნიშვნელოვნად გაძლიერდა რადიოკვანძების, კინოდანადგარების, მოძრავი კინოებისა და სხვ. ქსელი. საკმარისია ითქვას, რომ მარტო რადიოწერტილი არმიას აქვს 350.000.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის საბიბლიოთეკო ფონდი ამჟამად 25 მილიონი წიგნისაგან შესდგება.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის პირადი შემადგენლობა ყოველდღიურად იწერს 1.725.000 გაზეთს, აგრეთვე რეგულარულად ჟურნალებს 471.500 ეკზემპლარს.

თუ 1934 წელს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაზე 72 მილიონი მანეთი დაიხარჯა, ახლა ამ საქმეზე 230 მილიონი მანეთი იხარჯება.

წითელი არმიის კულტურული მომსახურების დარგში დიდ და საპასუხისმგებლო მუშაობას ატარებდა და ატარებს ხელოვნების მუშაკთა კავშირი. თეატრები, ხელოვნების განსაკუთრებული ბრიგადები, საუკეთესო მუსიკოსები, არტისტები, მომღერლები და სხვ. ხალისით მიდიან არმიაში, რათა მოემსახურონ მას თავიანთი ტალანტური ოსტატობით. მეცნიერები, ტექნიკოსები, ინჟინრები და ყოველგვარი სპეციალისტები აგრეთვე დიდ სამსახურს უწევენ წითელ არმიას თავისი ლექციებით, ჩვენი მებრძოლებისა, მეთაურებისა და უფროსებისათვის მუდმივი მომსახურებით, რისთვისაც წითელი არმია მუდამ აჯილდოებს თავის მეგობრებს მადლობითა და სიყვარულით.

თავდაცვა-ავიაქიმი და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები

საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე სიტყვა ვთქვა თავდაცვა-ავიაქიმისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ.

თავდაცვა-ავიაქიმი წარმოადგენს მასობრივ ნებაყოფლობითს საზოგადოებრივ ორგანიზაციას, აწარმოებს დიდ და სასარგებლო მუშაობას. ეს ორგანიზაცია მოწოდებულია აწარმოოს მუშათა, მოსამსახურეთა, ინტელიგენციის, მოსწავლეთა და კოლმეურნეთა მომზადება სახელმწიფოს თავდაცვის ინტერესებისათვის. ამავე დროს თავდაცვა-ავიაქიმი ეხმარება წითელ არმიას სხვადასხვა სამხედრო სპეციალობის კადრების წინასწარი გამოწვრთვნის „შავი“ მუშაობის საქმეში.

პატივისცემით ვეპყრობი რა თავდაცვა-ავიაქიმის მუშაკებს, განსაკუთრებით იმ აქტივისტ-მოხალისეებს, რომლებიც ნამდვილად, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს ჭეშმარიტი პატრიოტები, მცირე ძალღონეს როდი ახმარენ ქვეყნის თავდაცვის ინტერესების სამსახურს, მე უნდა ვთქვა, რომ თავდაცვა-ავიაქიმს შეეძლო მოეცა მუშაობის გაცილებით მეტი შედეგები, რომ ჩვენ ყველაფერს როდი ვაკეთებთ იმისათვის, რათა ეს შესანიშნავი ორგანიზაცია მთლიანად იყოს გამოყენებული როგორც წესი და რიგია. ჩვენ შეგვეძლია და მოვალენი ვართ უახლოეს დროში გავაკეთოთ ყველაფერი იმისათვის, რომ თავდაცვა-ავიაქიმმა თავისი ორგანიზაციების სისტემით მოიცვას ყველა ფაბრიკა და ქარხანა, საწარმო, დაწესებულება, სასწავლებელი და კოლმეურნეობა. საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ თავდაცვა-ავიაქიმის მუშაობა არსებითად გახდეს საზოგადოებრივ-მასობრივი მუშაობა, რომ საზოგადოების ყველა წევრი ხედავდეს იმ საქმის სარგებლობასა და საჭიროებას, რომელსაც თავდაცვა-ავიაქიმი აკეთებს.

ჩვენ გვაქვს ისეთი თავდაცვითი ორგანიზაციები, როგორიცაა წითელი ჯვრის საზოგადოება და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოება. ეს საზოგადოებანი, სამწუხაროდ, ნაკლებად არიან პოპულარულნი. ამასთან ერთად მათი მუშაობა ერთ დროს ცუდი როდი იყო და შეიძლება მნიშვნელოვანი და კარგი გახდეს, თუ პარტორგანიზაციები ადგილებზე დროგამოშვებით მაინც მიაქცევენ მათ ცოტა ყურადღებას.

უნდა გვახსოვდეს, რომ ფაშისტურ, და არა მარტო ფაშისტურ, სახელმწიფოებს ამჟამად აქვთ დიდძალი სპეციალური თავდაცვითი ორგანიზაციები, რომლებიც, როგორც სავსებით ნიმუშის მიხედვით აგებულნი, წარმოადგენენ მათი რეგულარული არმიების დამატებითს, უაღრესად სერიოზულ და ეფექტურ ელემენტს.

ჩვენ არ შეგვიძლია, უფლება არა გვაქვს ჩამოვრჩეთ, მტრების შესაძლო თავდასხმისაგან, ჩვენი ქალაქების, ფაბრიკების, ქარხნების და კოლმეურნეობების, ხალხის სიცოცხლისა და დოვლათის დაცვის მიზნით, მოსახლეობის ორგანიზაციის საქმეში.

ამხანაგებო! მე არ ვჩერდები ისეთ დიდ სახელმწიფო ორგანიზაციაზე, როგორიც არის სამოქალაქო საჰაერო ფლოტი, რომელიც, ომის შემთხვევაში, მთლიანად გაუწევს მომსახურებას თავდაცვის საჭიროებებს. მას სათავეში უდგას საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. **მოლოკოვი,** რომელსაც მუდმივი და მჭიდრო კავშირი აქვს წითელ არმიასთან და რომელიც ყველაფერს აკეთებს, რაც კი საჭიროა იმისათვის, რომ სამოქალაქო საჰაერო ფლოტი მტკიცედ ებოდეს, ეთანადებოდეს და მას შესწევდეს უნარი საჭირო დროს დახმარება გაუწიოს სამხედრო საჰაერო ფლოტის მებრძოლ ძალებს სამშობლოს დაცვის საქმეში.

წითელი არმიის პოლიტიკური მომზადება

წითელი არმია წარმოადგენს განსაკუთრებულ, კაცობრიობის ისტორიაში ჯერ კიდევ არასოდეს არნახულ არმიას. იგი შექმნილია იმ ხალხის მიერ, რომელმაც პირველად დაამარცხა თავისი მტრები თავისებურებებს:

„ჩვენი წითელი არმიის პირველი და ძირითადი თავისებურება, — ამბობს ამხანაგი **სტალინი,** — იმაში მდგომარეობს, რომ იგი არის განთავისუფლებულ მუშათა და გლეხთა არმია, იგი არის ოქტომბრის რევოლუციის არმია, პროლეტარიატის დიქტატურის არმია....

ჩვენი წითელი არმიის მეორე თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი, ჩვენი არმია, წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ხალხთა შორის ძმობის არმიას, ჩვენი ქვეყნის ნაჩაგრ ხალხთა განთავისუფლების არმიას, ჩვენი ქვეყნის ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის არმიას...

დასასრულ, წითელი არმიის მესამე თავისებურება. იგი მდგომარეობს ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებაში, ინტერნაციონალიზმის გრძნობებში, რომლებითაც გამსჭვალულია მთელი ჩვენი წითელი არმია“. **(სტალინი).**

ჩვენი წითელი არმიის თავისებურებათა ეს სტალინური განსაზღვრა წარმოადგენს სახელმძღვანელო საფუძველს წითელ არმიაში მთელ პარტიულ-აღმზრდელობითსა და პოლიტიკურ მუშაობაში. სწორედ ამ სამ დებულებას ეყარება მებრძოლთა, მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის პოლიტიკური და მორალური ცხოვრება.

წითელი არმია ცხოვრობს და იზრდება, ისე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის მოძღვრების საფუძველზე. არმიას აქვს სპეციალური პოლიტიკური აპარატი. მძლავრ პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, წითელი არმიის პოლიტაპარატი წარმოადგენს იმ ორგანოს, რომლის მოვალეობასაც შეადგენს ზრუნვა მებრძოლების, მეთაურებისა და არმიის მთელი პირადი შემადგენლობის პოლიტიკური შეგნების შუდმივ და განუწყვეტელ ზრდაზე. სამხედრო კომისრებს, პოლიტხელებსა და სხვა პოლიტმუშაკებს პარტიის ცილერ დაკისრებული აქვთ უაღრესად პასუხსაგები ამოცანა — პოლიტიკური მხრით გაუწყონ მომსახურება არმიასა და, პირველ რიგში, უპარტიო წითელარმიელებს, მეთაურებსა და უფროსებს.

წითელი არმიის სამხედრო კომისრის როლი ამ მუშაობის დროს უდიდესია. სამხედრო კომისარი მოვალეა ზრუნავდეს იმაზე, რომ თვით პოლიტორგანოები ყოველთვის კარგად იყოს შერჩეული, პოლიტმუშაკები შეეფერებოდნენ თავის მაღალ დანიშნულებას, რომ პოლიტმუშაკთა მარქსისტულ-ლენინური, პოლიტიკური მცოდნეობა და საერთო კულტურული ჰორიზონტი მუდამ იყოს სათანადო სიმაღლეზე. ერთი სიტყვით, სამხედრო კომისარს, უწინარეს ყოვლისა, უნდა შეიძლოს პოლიტორგანოების, პოლიტმუშაკების ორგანიზება, ხოლო მათი მეშვეობით, მათი მონაწილეობითა და პასუხისმგებლობით — მთელი პოლიტმუშაობის მოწყობაც.

მაგრამ ეს სამხედრო კომისრის მუშაობის მხოლოდ ნაწილია, თუმცა უმნიშვნელოვანესი ნაწილი. სამხედრო კომისარი—ეს არმიის უაღრესად პასუხისმგებელი ფიგურაა.

სამხედრო კომისარი სამოქალაქო ომის პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვან და პასუხსაგებ როლს ასრულებდა — „უსაბრკოთოთ ჩვენ არ გვეყოლებოდა წითელი არმია“—ამბობდა **ლენინი.** ახლაც, როდესაც არმია შეიარაღებულია მრავალფეროვანი, ძვალფიციური საბრძოლო და დამხმარე ტექნიკით, როდესაც არშია უაღრესად რთული ორგანიზმი გახდა, როდესაც მეთაური მოვალეა თავისი დროის მეტი ნაწილი საბრძოლო და საეკონომიო სწავლების საქმეს მოახმაროს,— სამხედრო კომისარი ახლაც პასუხსაგებ და მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სამხედრო ნაწილის საბრძოლო და პოლიტიკური სწავლებისა და აღზრდისადმი ხელმძღვანელობის საქმეში ჩეთაური და სამხედრო კომისარი წარმოადგენენ ერთ მთლიანს. ისინი ორივენი პასუხისმგებელი არიან ნაწილის საბრძოლო, პოლიტიკურ-მორალური, საბეურნეო, საყოფაცხოვრებო და სხვ. მდგომარეობისათვის. ისინი ორივენი—მეთაური და სამხედრო კომისარი—წაიყვანენ ბრძოლაში თავის ნაწილს, შენაერთს. აქიტომ საჭიროა, სხვა ყოველივეს დამატებით, ვაწარმოოთ აგრეთვე შეუპოვარი მუშაობა იმისათვის, რომ წითელი არმიის თვითეულ მეთაურს, კომისარს და უფროსს ჩავუნერგოთ მეთაურული და ნებისყოფითი თვისებები.

ამ მუშაობისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრება სამხედრო კომისარს.

არმიის პოლიტიკური აპარატი, ე. ი. სამხედრო კომისრები, პოლიტხელები და ყველა სპეციალობის პოლიტმუშაკები, XVII-დან XVIII ყრილობამდე განვლილი პერიოდის მანძილზე თავისი შემადგენლობით მკვეთრად გაიზარდა. 1934 წლის 1 იანვრისათვის იყო სულ 15 ათასი პოლიტმუშაკი, ამჟამად კი არმიას ჰყავს 34 ათასი პოლიტმუშაკი; გადიდება 126%-ით.

გამცდლური, ჯამუშური და მოლალატური ელემენტებისაგან წითელი არმიის გაწმენდასთან და იმავე დამპალი გამცდლური სიბინძურისაგან თვით პოლიტაპარატის გაწმენდასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვნად გაძლიერდა პოლიტაპარატის და პირველ რიგში, სამხედრო კომისრების როლი და გაიზარდა მთელი პოლიტშემადგენლობის პასუხისმგებლობაც მისი მუშაობისათვის.

უკანასკნელ წლებში წითელი არმიის პოლიტიკური შემადგენლობა მნიშვნელოვნად განახლდა. ამ დროის განმავლობაში დაბლიდან დაწინაურებულ იქნა სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე ათასობით ახალგაზრდა შესანიშნავი ადამიანები, ჩვენი პარტიის წევრები, პატიოსანი, ერთგული და ნიჭიერი მუშაკები.

ესენი არიან არმიის პარტიული ორგანიზაციის საუკეთესო ადამიანები, ესენი არიან ის აქტივისტები, რომლებმაც, როგორც **ლენინ-სტალინის** საქმისადმი უსაზღვროდ ერთგულებმა, უკანასკნელი 2-3 წლის მანძილზე გამოიჩინეს თავი როგორც ჭეშმარიტმა პარტიელებმა, პარტიის რიგების სიმტკიცისათვის, წითელი არმიის სიმტკიცისათვის მებრძოლებმა. ისინი იყვნენ, რომ მთელ პარტიულ ორგანიზაციასთან ერთად, პატიოსან უპარტიო წითელარმიელთა, მეთაურთა და უფროსთა მთელი მასის მხარდაჭერით, რკინის ცოცხით გასწმინდეს არმია გამცდლობისა და სისაძაგლისაგან, გახადეს რა არმია დღეისათვის კიდევ უფრო მტკიცე, პოლიტიკურად უფრო მონოლიტური, ვიდრე წინათ ოდესმე ყოფილა. ეს პოლიტმუშაკები. არმიის მთელ პარტიულ და კომკავშირულ აქტივთან ერთად, დიდ პოლიტაღმზრდელობითს მუშაობას ეწევიან ჩვენი არმიის პოლიტიკური დონის ასამაღლებლად იმ მიზნით, რათა თავიდან აცილებულ იქნას არმიაში არა ცარტომგამცდლობისა და ღალატის ელემენტები, არამედ ყოველგვარი მერყეენი, მოწუწუნენი და სხვა სიბინძურენი, საიდანაც საბოლოო ანგარიშით წარმოიშობიან და არ შეიძლება არ გაიზარდნენ ნამდვილი გამცდლები და ჩვენი კლასობრივი მტრების აგენტები.

არმიის პოლიტორგანოებმა ამჟამად ისეთი საუცხოო სახელმძღვანელო მიიღეს თავის მუშაობაში, როგორიც არის „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“. ეს შესანიშნავი სახელმძღვანელო სამაგიდო წიგნად გადაიქცა არა მარტო პოლიტმუშაკების, მეთაურებისა და უფროსებისათვის, იგი გადაიქცა ჩვენი წითელარმიელების პოლიტიკური აზრდის აუცილებელ და მუდმივ თანამგზავრად.

წითელი არმიის პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობაში ჩაბმულია მებრძოლთა, მეთაურთა და მთელი პირადი შემადგენლობის მთელი მასა. არმიის მრავალათასიანი კომკავშირი პოლიტორგანოების საუკეთესო თანაშემწე და მათი ყველა წამოწყების გამტარებელია მებრძოლთა და უთუშემადგენლობის მთელი უპარტიო მასის მომსახურების საქმეში.

მუშურ-გლეხური წითელი არმიის საბრძოლო მომზადება

ყოველი სახის ჯარი, დაწყებული ქვეითი ჯარით და გათავებული ტექნიკური ჯარით, უზრუნველყოფილია შესაფერი მეთაურებითა და პოლიტიკური კადრებით, რომელთაც ზედმიწევნით იციან თავიანთი საქმე.

წარსული 1937-1938 წ. წ. საბრძოლო მომზადების წარმატებებმა შესამჩნევი ზრდა მოგვცეს ჯარის საბრძოლო, ტექნიკური და ტაქტიკური წვრთნის ყველა დარგში.

მსროლელთა ნაწილების ტაქტიკური და საცეცხლო მომზადება, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახის ჯარი გაცილებით რთული გახდა ყოველი მხრით, სათანადო სიმაღლეზე სდგას. მაგრამ ქვეითა ჯარის მეთაურებმა, კომისრებმა და პოლიტმუშაკებმა კიდევ უფრო მეტად და შეუპოვრად უნდა იმუშაონ, რათა კიდევ უფრო უკეთ დააყენონ სასროლო საქმე.

წითელი არმია მუდამ განიცდიდა თავისი სნაიპერებითა და შაშხანებისა და ტყვიამფრქვევების საუცხო მსროლელებით, იგი მომავალშიც გაამრავლებს და გააუმჯობესებს ამ თავის ხელოვნებას და არ ეგერდება მიღწეულზე. საჭიროა კიდევ უფრო შეუპოვრად ვიმუშაოთ, რათა უფრო საფუძვლიანად მოვამზადოთ ჩვენი მსროლელი ჯარი ტაქტიკური და საცეცხლო მხრით, ავამაღლოთ შტაბების, ლეგიონების, დივიზიებისა და კორპუსების მომზადება. განვაგრძოთ შეუპოვრად მუშაობა მსროლელი ჯარის სხვა სახის ჯართან ურთიერთ მოქმედების ცოდნის ამაღლებაზე.

წითელი ცხენოსანი ჯარი საბრძოლო მომზადების საქმეში მუდამ დიდ სიმაღლეზე იდგა და ამჟამად ცხენოსანი ჯარის ნაწილებს შეუძლიათ ორგანიზებულობისა და საბრძოლო წვრთნის მაგალითი იყვნენ. ჩვენი ცხენოსნები მოხერხებულად უფარდებენ თავიანთ საცხენოსნო სპეციალურ მომზადებას თავიანთ მექანიზებულ საბრძოლო საშუალებებს. საბრძოლო ვითარებაში თანამედროვე წითელი კავალერია კიდევ გვიჩვენებს მაღალი საბრძოლო ხელოვნების ნიმუშებს მტრებთან გაჩენებულ მოხერხებულ და დაუნდობელ ბრძოლებში.

საბრძოლო მომზადება არტილერიისა, რომელიც ჩვენ ბევრი გვაქვს ყოველი სახის ჯარში, მაღალ დონეზე სდგას. ამავე დროს თანამედროვე არტილერია მკვეთრად განსხვავდება თვით ამ ახლო წარსულის არტილერიისაგან, რის გამოც მისი დაუფლებაც გართულდა. გართულდა არტილერიის საბრძოლო ურთიერთმოქმედებაც სხვა სახის ჯართან. საბჭოთა არტილერისტებს ისე, როგორც წითელ ცხენოსნებს, მუდამ უყვარდათ თავისი საქმე, კარგად იცოდნენ იგი და დიდ შედეგებს აღწევდნენ საბრძოლო და ტაქტიკურ მომზადებაში. ამჟამად ჩვენი ყველა სახელწოდების არტილერია, მისი წითელარმიელები, მეთაურები და კომისრები კარგად არიან მომზადებულნი და შეუძლიათ გადასწყვიტონ ყოველგვარი საბრძოლო ამოცანები, რომლებიც დასახულია მათს წინაშე.

კარგად მუშაობენ ჩვენი სახელოვანი ტანკისტები. არიან მთელი სატანკო ნაწილები და შენაერთები, რომელთა საბრძოლო მომზადებაც ძლიერ დიდად ფასდება. საერთოდ, ყველა სატანკო ჯარი კარგად არის გამართული და არც ცუდად არის მომზადებული. როგორც საცეცხლო ისე, ტაქტიკური მხრით, ამ სახის ჯარი უთუოდ ყოველთვის გაართმევს თავს ყოველგვარი ხასიათის საბრძოლო ამოცანებს, რადგან მათი რიგითი, მეთაურთა, კომისართა და პოლიტმუშაკთა შემადგენლობა კარგად არის მომზადებული და მან თავისი საქმე ჩინებულად იცის. **(დარბაზში მხიარული გამოცოცხლებაა).**

კარგად არის მომზადებული სპეციალური ჯარი: კავშირგაბმულობა, ინჟინრები, ქიმიკოსები, რკინიგზის მუშაკები და სხვ. ეს ჯარი მრავალრიცხოვანი არ არის, მას საუცხოოდ გამართული კადრები ჰყავს და, როგორც წესი, მუდამ კარგად არის მომზადებული სპეციალური და ტაქტიკური მხრით.

დასასრულ, რამდენიმე სიტყვა სამხედრო-საჰაერო ძალთა საბრძოლო მომზადების შესახებ. ჩვენი ავიაცია ამჟამად ჯარის მეტად რთულ სახეს წარმოადგენს. მისი საბრძოლო მომზადება დიდ ცოდნას, ოსტატობასა და დაძაბულობას მოითხოვს მეთაურების, სამხედრო კომისრების, პოლიტმუშაკების, საინჟინრო - ტექნიკური და მთელი პირადი შემადგენლობისაგან მთლიანად.

სხვა ყველაფერს გარდა, ავიაცია თავის საბრძოლო მომზადებაში რამდენადმე მუდამ დამოკიდებული მეტეოროლოგიურ პირობებზე. მიუხედავად ამისა, ჩვენი საფრენოსნო და სხვა შემადგენლობის საუცხოო კადრების მეოხებით, წითელი ავიაცია თავისი სპეციალური და ტაქტიკური მომზადებით მაღალ დონეზე სდგას. ეს არაერთხელ ამის შემოწმებული საქმით **(მქუხარე ტაში).** მთელი წითელი არმიის საერთოსამხედრო მომზადება სარდლობის ძირითად ამოცანას წარმოადგენს და იგი ცუდად როდი არის დაყენებული.

ჩვენი წითელი არმია რომ ცუდად არ არის მომზადებული, ეს ჩვენი მტრების ნათქვამებიდანაც სჩანს, მტრების, რომლებიც, როგორც უკვე მოგახსენეთ, წინდაუხედავად და უდროოდ ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ საბჭოთა ტერიტორიის ერთი ნაკვეთი.

მოკლული იაპონელი ოფიცრების უბის წიგნაკებში სხვათა შორის არის შემდეგი ჩანაწერები:

1) მე-75 ქვეითი ლეგიონის ბათალიონის მეთაური, მაიორი ხირაბარი თავის უბის წიგნაკში სწერს:

„ცოტა გაჭირვება როდი მოგვაყენეს საბჭოთა ტანკებმა. მათ გამოიყენეს ადგილმდებარეობა, ახლო მანძილზე მოვიდნენ და ცეცხლი გაგვიხსნეს. ცეცხლი საშინელი იყო, ძალიან მარჯვედ გვესროდნენ. ეგუებოდნენ რა აღგილმდებარეობას, საბჭოთა ტანკები სროლისათვის ხშირად მხოლოდ ქვემების კოშკებს გამოაჩენდნენ ხოლმე. ჩვენი სროლა ვერ იყო საკმაოდ ქმედი. როდესაც ტანკები ჩვენი არტილერიის ცეცხლში მოექცეოდნენ ხოლმე, ტანკების გამძღოლნი ხშირად გადმოხტებოდნენ მანქანებიდან და თავს იფარავდნენ ბრძოლის ადგილის ირგვლივ. ჩვენ ცეცხლს სხვა მიმართულებას არ მივცემდით.

ხშირად ეკიპაჟებს გადმოჰქონდათ ტანკებიდან ტყვიამფრქვევები და ძარცვედ უშენდნენ ჩვენს ჯარისკაცებს, შემდეგ კი კვლავ სხდებოდნენ ტანკებში“.

2) მაიორი ნაკანა (მე-75 ქვეითი ლეგიონის 1-ლი ბათალიონის მეთაური) (უბის წიგნაკი):

„უკვე მეორე დღეა, რაც ჩვენ სანგრებში ვზივართ, ხოლო საბჭოთა არმია აქტივობას იჩენს. ხან შემოტევაზე გადმოდის, ხან კი სწრაფ თავდაცვაზე. ძნელია თავის გამოყოფა. წინათ ჩვენ გვეუბნებოდნენ, ეს არმია ძლიერი არაა, მაგრამ როცა მათ შევეჯახეთ, ვხედავ, რომ ეს შეცდომა იყო. წითელი ჯარი ზშირად იმეორებდა გააფთრებულ იერიშებს.

გუშინ დილით მესამე ასეულში 137 კაცი იყო, დღეს 50 კაცი დარჩა და იგი უკვე ოცეულამდე დავიდა.

31 ივლისს დილით განთიადისას 1-ლი ასეულით ჩვენ იერიში მივიტანეთ სიაცაფინის გარეუბნებზე, მტრის 14 ჯარისკაცი 5 საათის განმავლობაში შეუპოვრად აკავებდა ჩვენი 1-ლი ასეულის იერიშს და დიდ ზიანს აყენებდა მას; მათი უკუგდება მოვახერხეთ მხოლოდ ხელჩართული და ხიშტით ბრძოლის შემდეგ“.

3) იაპონიის არმიის პორუჩიკმა კოფუნუდომ (მე-75 ქვეითი ლეგიონის მე-II ასეული) უბის წიგნაკში აღნიშნა:

„წითლები კარგად იყენებენ ყველა სახის სასროლ იარაღს—შაშხანებსაც, ხელისა და ბაზგის ტყვიამფრქვევებსაც. ჩვენ დიდ დანაკლისს განვიცდიდით მათი მარჯვე სროლით, როცა თოფის სროლა სწარმოებდა 900-1000 მეტრის მანძილზედაც კი. საბჭოთა სნაიპერები კარგად ინიღბებიან, მოხერხებულად იყენებენ ადგილმდებარეობას. შეიკრიბება 3-4 ჯარისკაცი, დაუყოვნებლივ გაიკეთებს სანგრებს, უაღრესად მარჯვედ დაუშენს ტყვიას მთელ ჩვენს განლაგებას, დიდ ზიანს გვაყენებს ბევრია მოკლული და დაჭრილი“.

აი, ამხანაგებო, მოწმობა, შესაძლოა მიკერძოებული, მაგრამ მიკერძოებული მეორე მიმართულებით. ჩვენი ერთეულების საბრძოლო მომზადების ხარისხის შემცირების მიმართულებით, მოწმობა იმისა, რომ ჩვენი მეთაურები და პოლიტმუშაკები ტყუილა როდი სჭამენ საბჭოთა პურს, ისინი, როგორც ჰხედავთ, „ზოგ რამეს“ აკეთებენ და ზოგ წარმატებას აღწევს **(ტაში).**

წითელი არმია იყო და არის ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის, მუშურ-გლეხური მთავრობისა და პირადად ამხანაგ **სტალინის განსაკუთრებული** მზრუნველობის საგანი. ორი სტალინური ხუთწლედის შესრულების შედეგად, რამაც ჩვენი ინდუსტრიისა და მთლიანად სოციალისტური მეურნეობის უდიდესი ზრდა მოგვცა, ჩვენი არმია განუწყვეტლად იზრდებოდა და სრულყოფილი ხდებოდა.

მე საკმაოდ დაწვრილებით ვჩერდებოდი ჩვენი არმიის თანაბედროვე შეიარაღებისა და ტექნიკური შეჭურვილობის საკითხებზე. მე ვლაპარაკობდი იმ ცვლილებებზე, რაც ამ დარგში მოხდა უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში და რამაც ჩვენი არმია გახადა ტექნიკურად იმდენად შეიარაღებული და მოწყობილი, ხოლო კადრები და მთლიანად პირადი შემადგენლობა იმდენად მომზადებული, რომ საბჭოთა ხალხისათვის ახლა საშიში აღარ ჩრის მტრის არავითარი მზაკვრობა. მას გულდაჯერებით შეუძლია აკუთოს თავისი დიადი სოციალისტური საქმე, სრული დარწმუნებული იყოს, რომ მის სამშობლოს — საბჭოთა საბელმწიფოს — საბჭოთა ხალხის და რევოლუციური არმიის სულის ძალა და მორალის სიმაგრე ომმოჭალაჭო ომში დაგვანახვა. რომ მორალური ელემენტი არმიისა, რომელიც იბრძვის თავისი ისტორიული ბედისათვის, არმიისა, რომელიც გამოვალულია მარქს-ლენინ-სტალინის დიადი მოძღვრების სულით, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, განუზომლად უფრო ძალიანია, ვიდრე რომელიც ნებისმიერ კაპიტალისტურ არმიაში, რომ აღარაფერი ვთქვათ ნახევარფეოდალური, ბურჟუაზიული არმიების შესახებ, რომლებიც მხედველობაში ჰყავდა კლაუზევიცს.

მუშურ-გლეხური წითელი არმია, რომელიც თავისი ხალხის ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანია, ცხოვრობს მთელი თავისი ქვეყნის ინტერესებით, იგი ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით იბრძვის ახალი კომუნისტური საზოგადოებისათვის, იგი პარტიის პირველ დაძახებისთანავე, თავისი მთავრობის ბრძანებით გამოვა სამშობლოს, ხალხისა და სოციალისტური საბელმწიფოს დასაცავად.

წითელი არმია, რომელსაც ხელმძღვანელობენ მისი პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკი - მეთაურები და სამხედრო კომისრები, თავისი მძლავრი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციისა და კარგად დაყენებული პოლიტმუშაობის საშუალებით, ყოველთვის სწორადაა ორიენტირებული საერთაშორისო და საშინაო საკითხებში. იგი მუდამ ფხიზლად ეხმაურება ჩვენი ქვეყნის საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების ყველა მოვლენას.

ამხანაგებო! ჩვენი არმია იზრდებოდა და იბრძოდა ხალხთან ერთად, იბრძოდა და მან საბოლოოდ გაიმარჯვა სამოქალაქო ომში ყველა თავის შინაურ და გარეშე კლასობრივ მტერზე. ჩვენი პარტიის ბევრმა სუყვარულით ადამიანმა, იბრძოდა რა წითელი არმიის რიგებში, თავისი სიცოცხლე ხალხის საქმეს, **ლენინ-სტალინის** საქმეს შესწირა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, იმ პერიოდში, როდესაც არმია ორგანიზაციულად და ტექნიკურად ხელახლა შეიარაღებას ახდენდა და საბჭოთა სახელმწიფოს სულ უფრო მტკიცე და ძლიერი ძალა ხდებოდა, საზიზღარი გამცემლები ტროცკისტ-ზინოვიეველ-ბუხარინელთა ბანდიდან, საბრძოლო დროშის ღალატის გზით, თავისი ხალხისა და სახელ-წიფოს ინტერესების გამცემლობის გზით ცდილობდნენ შეინიდან აეფეთქებინათ ჩვენი არმია, მოღალატურად დაეუძლურებინათ იგი, და ომის დროს გასანადგურებლად მიეცათ მტრისათვის.

ნიმე სიტყვა არ ეუთხრათ ჩვენი სოციალისტური ქარხნების მუშებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებსა და მოსამსახურეებს, განსაკუთრებით კი პარტ

ՅՈՒՆԱՍՏԱՆ: ՀՀԿԿ ԿԵՆՏՐՈՆԱԿԱՆ ԿՈՄԻՏԵՏԻ — ՄԱՐՔՍԻԶՄԻ-ԼԵՆԻՆԻԶՄԻ ԳԱՂԱՓԱՐՆԵՐԻ ԵՎ ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ԺՈՂՈՎՐԴԱԿԱՆ ՊԱՏԳԱՄԱՎՈՐԱԿԱՆ ՄԱՐՄՆԻ ՄԱՍՆԱԿՑՈՒԹՅՈՒՆ — 16. ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏԱԿԱՆ ՀԱՄԱԼՍԱՐԱՆ — 3—08—88, 3.ՀԵՌ. ՀԵՌԱԽՈՍ ՀԱՄԱԼՍԱՐԱՆ — 3—06—88, ՀԱՅԿԱԿԱՆ ՍՍՀ ՆԱԽԱՐԱՐՈՒԹՅԱՆ ԿՈՄԻՏԵՏ — 3—57—61, ԼԱԼՄԿՎԵՐՄ-ԼԱՅՈՒՆԳԱՖՈՆԱՅԻՆ ՀԱՂՈՐԴԱԿՑՈՒԹՅՈՒՆ — 3—73—40, ՀԱՅԿԱՊԵՏԱՐԱՆ — 3—73—24, 3.ՀԱՅԿԱՊԵՏԱՐԱՆ — 3—26—67, ՀԱՅԿԱՊԵՏԱՐԱՆ ՀԱՄԱԼՍԱՐԱՆ — 3—08—67, 3.ՀԵՌ. ՀԵՌԱԽՈՍ ՀԱՄԱԼՍԱՐԱՆ — 3—06—88, ՀԱՅԿԱՊԵՏԱՐԱՆ ՀԱՄԱԼՍԱՐԱՆ — 3—73—40, ՀԱՅԿԱՊԵՏԱՐԱՆ ՀԱՄԱԼՍԱՐԱՆ — 3—51—81, ԼՈՒՍԱԲԱՆԻ ԿԱՌԱՎԱՐՉԱԿԱՆ ՀԱՄԱԼՍԱՐԱՆ — 3—27—04. ՀԱՅԿԱՏՐԱԿԱՆ ՀԱՄԱԼՍԱՐԱՆ: 3.ՀԱՅԿԱՏՐԱԿԱՆ ՀԱՄԱԼՍԱՐԱՆ — 3—57—61, ԼԱԼՄԿՎԵՐՄ-ԼԱՅՈՒՆԳԱՖՈՆԱՅԻՆ ՀԱՂՈՐԴԱԿՑՈՒԹՅՈՒՆ — 3—73—40, ՀԱՅԿԱՊԵՏԱՐԱՆ — 3—73—24, 3.ՀԱՅԿԱՊԵՏԱՐԱՆ — 3—26—67, 3.ՀԵՌ. ՀԵՌԱԽՈՍ ՀԱՄԱԼՍԱՐԱՆ — 3—08—88, ՀԱՅԿԱՊԵՏԱՐԱՆ ՀԱՄԱԼՍԱՐԱՆ — 3—06—88, ՀԱՅԿԱՊԵՏ